სასარგებლო საუბარი

როგორ აეწყო ინტერნეტსაუბარი ჩემსა და მას შორის, საინტერესო არ არის. მოდი, იქიდან ჩავერთოთ, საიდანაც „სასარგებლო საუბარი“ დაიწყო.

ნარკომანია

იგი - მოდი, ნარკომანიაზე ვისაუბროთ!
მე - ამის შესახებ იმდენი ითქვა და დაიწერა, რაღა არის სასაუბრო!
ი - ესე იგი, კითხვებზე ამომწურავი პასუხებია გაცემული?
მ - კი, კი!
ი - თქვენ ყველაფერი იცით?
მ - ყველაფერი, რაც ამის შესახებ ითქვა და დაიწერა.
ი - მაშ, იქნებ მითხრათ, რა იწვევს ნარკომანიას?
მ - ინტერესი. ინტერესის გამო ბევრი სინჯავს ამა თუ იმ ნარკოტიკს. ზოგს ეს მოსწონს, ზოგს – ისე, რა, ზოგს არ მოსწონს.
ი - ამიტომ ზოგი ნარკომანი ხდება, ზოგი მომხმარებელი და ზოგი თავს ანებებს. ასეა?
მ - დიახ, ასეა!
ი - იქნებ ისიც იცით, ზოგს რატომ მოსწონს ისე ძლიერ, რომ თავს ვეღარ ანებებს და მასზე დამოკიდებული ხდება, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცის, რა უბედურება მოჰყვება ამას.
მ - „ლომკების“ მოხსნა ადვილი არ არის.
ი - „ლომკების“ მოხსნა რომ შველოდეს საქმეს, ნარკომანს ორი კვირით სადმე გამოკეტავდნენ, „ლომკებს“ გადალახავდა და განიკურნებოდა.
მ - ორი კვირა საკმარისია?
ი - მეტიც არის! თვეობით შეუკავებიათ თავი, წლობითაც, მაგრამ მერე უფრო დამოკიდებული გამხდარან.
მ - კი, ასეთი შემთხვევებიც არის.
ი - უფრო ზუსტად ვთქვათ; ასეთებიც არის კი არა, ეს წესია.
მ - კი, გეთანხმებით!
ი - ესე იგი, დამოკიდებულებას, „ლომკების“ მოხსნის სიმძიმე არ ჰქმნის.
მ - დიახ.
ი - ასეთმა კაცმა იცის, რომ უბედურება ჭირს, ცდილობს ნარკოტიკს თავი დააღწიოს, თვეობით თავს იკავებს, მაგრამ შემდეგ ისევ უბრუნდება.
მ - კი, ასეა!
ი - ესე იგი, იმის თქმა, რომ ნარკომანმა არ იცის, რა უბედურებაში ჰყოფს თავს, სწორი არ არის.
მ - დიახ! შევფიქრიანდი.
ი - ფიქრი კარგი რამ არის. ნარკომანმა იცის, რომ თავს იღუპავს, მაგრამ ნარკოტიკს მაინც ვერ ეშვება. ასეა?
მ - ასეა!
ი - იცით, ნარკომანები ნარკოტიკს რას უწოდებენ?
მ - წამალს.
ი - დაუკვირდით ამ სიტყვას...
მ - ეს ჟარგონია.
ი - ჟარგონია, მაგრამ ზუსტად ასახავს ნარკომანის დამოკიდებულებას. ჟარგონებიც ამიტომ ჩნდება. მას დატვირთვა აქვს. ნარკოტიკი მათთვის წამალია.

მ - ალბათ.
ი - წამალი ვის სჭირდება – დალხენილ კაცს?
მ - არა!
ი - აბა, ვის?
მ - ავადმყოფს.
ი - აგაშენა ღმერთმა! ესე იგი, ის კაცი, ვინც ნარკოტიკს ეჩვევა, კარგად არ არის – ავად არის. ეს ასეა თუ მეშლება რამე?
მ - არა, სწორი ჩანხართ!
ი - დავაზუსტოთ! კაცი ნარკომანი რომ ხდება, მერე კი არ ავადდება (ნარკოტიკი, თავისთავად, ადამიანს ფიტავს), არამედ, ავად რომ არის, იმიტომ ხდება ნარკომანი.
მ - სწორია! ასე არასდროს მიფიქრია.
ი - როგორ იფიქრებდით! თქვენ პროფესიით ნარკოლოგი არ უნდა იყოთ.
მ - არა!
ი - ეს აზრი სხვისგან არ მოგისმენიათ, არც წაგიკითხავთ.
მ - არა, არასდროს!
ი - ამიტომ ასე ვერ იფიქრებდით. უბედურება ის არის, რომ ასე არც ნარკოლოგები ფიქრობენ.
მ - აბა, ვინ ფიქრობს?
ი - არავინ.
მ - თქვენ?
ი - მე – კი.
მ - თქვენ რატომ ფიქრობთ ასე?
ი - იმიტომ, რომ პრაქტიკა მაქვს დიდი ხანია. ჩემს პაციენტებს შორის ნარკომანებიც არიან. ნარკომანს ნარკოტიკი ჭირდება – ჰაერივით. უმისოდ ვერ ძლებს. იგი „წამლის“ საშუალებით, ასე თუ ისე, წონასწორობას ინარჩუნებს, რათა საზოგადოების წევრად დარჩეს. მოკლედ, ცუდ დღეშია.
მ - მოგირჩენიათ?
ი - დიახ.
მ - როგორ?
ი - როგორ და … ნარკოლოგებს და ყველას ნარკომანია დაავადება ჰგონიათ.
მ - რა, არ არის?!
ი - არა! როცა ვამბობთ, რომ რაღაც არის დაავადბა, დაავადების სინდრომს ვგულისხმობთ. სინდრომს აქვს გმოვლინებები: სიმპტომები.
მ - მაგალითად?
ი - მაგალითად ტუბერკულიოზი დაავადებაა, ხველა კი – სიმპტომი. ჭლექიანს რომ ხველების საწინააღმდეგო წამლები ვაძლიოთ, რამეს ვუშველით?
მ - ვერა; სიმპტომებს არ მკურნალობენ.
ი - სწორია! უნდა განიკურნოს სინდრომი და სიმპტომები თავისით გაქრება.
მ - ვხვდები, ნარკომანია არ არის დაავადება, სიმპტომია.
ი - უფრო ზუსტად, ნარკოტიკის მოთხოვნილება არ არის დაავადება. მას რაღაც აჩენს.
მ - რა აჩენს?
ი - აი, იმ სხვა რამეს ვმკურნალობთ და ნარკოტიკის მოთხოვნილება ქრება.
მ - პაციენტი იკურნება?
ი - კი, ბატონო!
მ - რა არის ის „სხვა რამ“?
ი - სულიერი აშლილობა.
მ - ახლა სხვა კითხვები გამიჩნდა.
ი - რა თქმა უნდა! სანამ იმ კითხვებს დასვამდეთ, დავაზუსტოთ! თურმე აქამდე ნარკომანიაზე ყველაფერი ნათქვამი არ ყოფილა.
მ - პირიქით მგონია.

ი - რა?
მ - თურმე, ჯერჯერობით, არაფერი თქმულა.
ი - ძალიან კარგი! სანამ თქვენს კითხვებს ვუპასუხებდეთ, სხვა თემაზე უნდა ვისაუბროთ.
მ - რაზე?
ი - შიდს-ზე.
მ - ეგ რა შუაშია?!
ი - დღეს ამით დავამთავროთ! შემდეგი საუბრისას განვიხილოთ, არის თუ არა შუაში.

შიდსი

ი - შეთანხმებისამებრ, ახლა, შიდს-ზე ვისაუბროთ!
მ - კი, ბატონო! ეს დაავადება კაცობრიობის შავ ჭირად მონათლეს.
ი - ესე იგი, შიდსი დაავადებაა?
მ - რა თქმა უნდა!
ი - თუ ეს დაავადებაა, მას დიაგნოზი უნდა დაუსვან და გამომწვევ მიზეზს მიაკვლიონ. მიზეზის მიუკვლევლად ხომ ვერ განკურნავენ!
მ - ამ დაავადების მიზეზი ცნობილია.
ი - კერძოდ?
მ - ვირუსი.
ი - სად არის ეს ვირუსი; იპოვნეს?
მ - რა, არ არის ნაპოვნი?
ი - არა!
მ - რა ვიცი, მთელი ქვეყანა ამ ვირუსზე ლაპარაკობს!
ი - ეშმაკზეც ლაპარაკობენ, მაგრამ ჯერ არავის უნახავს. ჰალუცინაციები არ მაქვს მხედველობაში.
მ - დანამდვილებით იციან, რომ ის ვირუსი იმუნური სისტემის დაქვეითებას იწვევს.
ი - იქნებ იცით, დიაგნოზს როგორ სვამენ?
მ - ზუსტად – არა; სპეციალისტი არ ვარ.
ი - კი, ბატონო, სპეციალისტს მივმართოთ. ამ საკითხის შეუვალი სპეციალისტი დ. მილერია. აი, რას წერს იგი - „ასეთი ადამიანების დახმარება გაცილებით ძნელია. ისინი მრავალრიცხოვან ფიზიკურ შეუძლებლობას მაინცდამაინც შიდსს აწერენ. თუმცა, მათ დაუსრულებლად განუმარტავენ, რომ მათი სექსუალური ცხოვრების ნირით აივ-ით დასნებოვნება თითქმის, ან საერთოდ შეუძლებელია. მათ შიდსის შეუსაბამო შიში აქვთ და, ხშირად, აკვიატებული იდეის მატარებელი არიან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათთვის შიდსი ავადმყოფური ფსიქიკის და სექსუალური დანაშაულის გამოხატულებაა.” (დ. მილერი. „კონსულტაცია“, ლონდონი). ამ ციტატიდან რა დასკვნის გამოტანა შეიძლება?
მ - მგონი ის, რომ დიაგნოზის დასმა ცხოვრების ნირით ხდება და არა – სისხლის ანალიზით.
ი - მიყვარს ჭკვიან კაცთან საუბარი! ეს იმიტომ, რომ სისხლში შიდსის გამომწვევი ვირუსი არ ჩანს. ისევ სპეციალისტს მივმართოთ! „თუმცა, ცხადია, რომ შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომს ადამიანში იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ) იწვევს, მაგრამ თვით ამ ვირუსის წარმომავლობა დღემდე უცნობია“. „ტესტირებისას ზოგ იმფიცირებულს, შეიძლება, სულაც არ აღმოაჩნდეს აივ-ი, ან მცირე კონცენტრაცია ჰქონდეს, ყველაზე მგრძნობიარე ტესტსებმაც კი ვერ აღმოაჩინოს.“ (პ. მორტიმერი. „ვირუსი და მისი იდენტიფიკაცია“, ლონდონი).
მ - ესე იგი, ვირუსი ნამდვილად არ არის მიკვლეული?
ი - სპეციალისტები ასე ამბობენ! არადა, ოცდაათი წელია დიდი მონდომებით ეძებენ. კვარკები აღმოაჩინეს და ეს ვირუსი რა გახდა ასეთი!
მ - კვარკი რა არის?
ი - ძალიან დიდი ბოდიში, ჟურნალისტი ხომ არა ხართ?
მ - რაში მატყობთ?

ი - ჰგონიათ, რომ ყველაფერი იციან და, სინამდვილეში კარგად არაფერი იციან. კარგი, კარგი! ყოველგვარი საგანი რომ მოძრავი მოლეკულებისგან შედგება, ეს ძველმა ბერძნებმაც იცოდნენ. მოლეკულა ერთიანი, განუყოფელი სუბსტანცია ეგონათ. არც ისე დიდი ხნის წინ მოლეკულა დაშალეს ატომებად, ატომები – ატომგულებად, ელექტრონებად, ნეიტრონებად და პროტონებად. კარგა ხანს ელექტრონი ეგონათ სუბსტანცია. თუმცა, ფიზიკოსებმა ისიც დაშალეს. იგი, თურმე, კვარკებისგან შედგება. თითოეულ ელექტრონში, სულცოტა, ექვსი კვარკია. უცნაური რამ გაირკვა; თითოეული კვარკი მასით და მოცულობით ელექტრონზე მეტია.
მ - როგორ?!
ი - როგორ – არ ვიცით! ამას ადამიანის გონება ვერ წვდება. ნებისმიერი ვირუსი ელექტრონზე განუზომლად დიდია, სხეულია, მაგრამ მისი დაჭერა ვერ შეძლეს. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?
მ - არ ვიცი!
ი - ისევ სპეციალისტს უდა დავუკრათ თავი! აი, რა უწერია მას: „აივ-ით დასნებოვნების კლინიკური სურათი, შეიძლება, მრავალფეროვანი იყოს; სუროკონვერსიით დაწყებული მრავალი წლის შემდეგ შიდსით დამთავრებული. ინფექცია, შეიძლება, უსიმპტომოც იყოს და კლინიკურად მკვეთრად გამოხატულიც. ვირუსთან პირველი კონტაქტის შემდგომი პირველი პერიოდი, ჩვეულებრივ, უსიმპტომოა და, შეიძლება, ექვს კვირამდეც გასტანოს. როცა სიმპტომები გამოვლინდება, ხშირად, სპეციფიურ ნიშნებს ატარებს. მწვავე კონვერსიის პერიოდში საშიშია ჯირკვლების ანთების მსგავსი დაავადება. ავადმყოფი იტანჯება ციებ-ცხელებით, ეუფლება სისუსტე, მოდუნება, ყელის კატარი, კუნთების და სახსრების ტკივილი, ლიმფოდენოპატია. საწყის პერიოდში ხანდახან ამჩნევენ, აგრეთვე, მწვავე შექცევად ენცეფალოპატიას, ორიენტაციის, მახსოვრობის დაკარგვით, ცნობიერების შეცვლით, მწვავე მენინგიტით, მიელოპატიით და ნვეროპატიით. ვისაც სუროკონვერსია დაემართება, ალბათ, ქრონიკული ინფექცია არ განუვითარდება. ზოგს, შეიძლება, ინფექცია ლატენტურ ფაზაში გადაუვიდეს. თუმცა, სიფრთხილის გამო უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფაზაში ავადმყოფი ინფექციური იქნება. უფრო დახვეწილი ტესტები საშუალებას მოგვცემს დავასკვნათ, ეს მართლაც ასეა თუ არა. აივ-ის ანტისხეულებზე ტესტის დადებითი პასუხი მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ ამ ადამიანს ვირუსთან კონტაქტი ჰქონდა და არა იმას, რომ მან ბუნებრივი იმუნიტეტი შეიძინა.
ქრონიკული ინფექციაც, შეიძლება, უსიმპტომოც იყოს, მისთვის ნიშანდობლივი კლინიკური თვისებები შეიცავს ციტოპენიას, თანამდევ მინორულ ინფექციებს, კანის დაავადებას, ლიმფადენოპატიას, აგრეთვე, შიდსის ასოცირებულ კომპლექსს. ბოლო ხანს საკუთრივ შიდსით ჯერ კიდევ არადაავადებულ ავადმყოფებს შეამჩნიეს პერიფერიული ნევროპატია, მიელოპატია და ენცეფალოპატია.“ (მ. ადლერი. „ავადმყოფების მიმდინარეობა და მისი გამოვლენის დიაპაზონი“. ლონდონი).
მ - ამას სპეციალისტი წერს?!
ი - შეუვალი! ციტატებით თავი შეგაწყინეთ, მაგრამ სპეციალისტებს ყური ხომ უნდა დავუგდოთ! კიდევ ერთი ციტატა ვნახოთ! „უმარტივესი ვარაუდის თანახმად იმუნოდეფიციტის მიზეზი, შეიძლება, იყოს ვირუსის თ–ჰელპერების/ინდუქტორების განადგურება და, აგრეთვე, შესაძლოა, მონოციტების და მაკროფაგების. აგრეთვე, შესაძლებელია, რომ ვირუსის გარსის ელიკოპროტეინი – ჩ 4 დაკავშირებული – ხელს უშლის ამ მოლეკულის ნორმალურ ფუნქციას. რადგან ჩ 4 მონაწილეობს ჰელპერების/ინდუქტორების სხვა ტიპის უჯრედებთან ურთიერთობაში, ეს მათი ნორმალური აქტივობის ბლოკირებას გამოიწვევდა.
ისეთი მოსაზრებაც გამოითქვა, რომ იმუნოსუპრესიაში გარკვეულ როლს, შეიძლება, ასრულებდეს ავტონომიური პასუხი. ავადმყოფებს ლიმფატენიასთან ერთად, ზოგჯერ, ნეიტროპენია, ანემია და ტრომბოციტეპენია ეუფლებათ. ეს მოვლენები ავტოიმუნური ანტისხეულების წარმოქმნის დამადასტურებელი მონაცემები ჯერჯერობით არ არის, თუმცა, ავადმყოფთა შრატში იმუნურ კომპლექსებს ნახულობენ ხოლმე“. (პ. ბევერლი, კ. სატენტაუ. „შიდსის იმუნოლოგია“. ლონდონი). „აივ-ზე იმუნური რეაქციები არსებობს, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რომელი მათგანია მნიშვნელოვანი ვირუსისგან თავდასაცავად. ცხადია, ავადმყოფთა უმრავლესობას ანტისხეულების წარმოქმნა დაავადების განვითარებისგან ვერ იცავს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ვაქცინით ინგუცირება

ინფექციისგან არ უზრუნველყოფდეს. თუმცა, სანამ აივ-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მიზანმიმართული შემუშავება გახდება შესაძლებელი, უკეთ უნდა იყოს შესწავლილი ამ ვირუსზე იმუნური რეაქცია. ამის გარდა, ვაქცინის ადეკვატური შეფასება გაჭირდება, რადგან დღემდე უცნობია ადამიანის გარდა სხვა სახეობა აივ-შიდსის მსგავს დაავადებას რომ იწვევდეს“ (იქვე).
მ - გაურკვეველი აზრებია!
ი - თუ დააკვირდებით, შენიშნავთ, ხშირად ხმარობენ სიტყვებს: თუმცა, ზოგჯერ, შეიძლება იყოს, ალბათ, არ ვიცით, ახსნეს, მოსაზრება გამოითქვა. ამდენ აბდაუბდას – მთელი მსოფლიო მოიფინა ამ ლიტერატურით – არ ჯობია, თქვან, აღიარონ, რომ ამ დაავადების არც თავი იციან, არც – მიმდინარეობა და არც – ბოლო! ერთ ციტატას კიდევ მოვიყვან და მორჩა!
„აივ-ის ეპიდემიოლოგიის დაძაბული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე ურთიერთობით – თუნდაც მჭიდრო – არასექსუალური გზით არ გადადის... ვირუსის განზავება კარგი საშუალებაა მისი ინფექციურობის დასაქვეითებლად. ამიტომ, ვირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ბრძოლის ყველა ღონისძიების საფუძველი უნდა იყოს ხელების გულდასმით დაბანა და ჭურჭლის რეცხვა. ეს არასდროს არ უნდა უგულვებელვყოთ. აივ-ს არამდგრად ვირუსად თვლიან. ეს სწორია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. მართალია, იგი ეფექტურად ინაქტივირდება მრავალი აგენტით, მაგრამ გარემოს ჩვეულებრივ ტემპერატურაზე შეუძლია საკმაოდ ხანგრძლივი დროით შეინარჩუნოს ინფექციურობა. ამიტომ კლინიკურ მასალასთან შენახები საგნები და მათი ზედაპირი გულმოდგინედ უნდა გაზავდეს“ (დ. ჯეფრიბი. „ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ბრძოლა“. ლონდონი).
აკი თუ სექსუალური არ იქნება, მჭიდრო ურთიერთობითაც არ გადადისო! აივ-ს არამდგრად ვირუსად თვლიანო; ვისკენ უთითებს სპეციალისტი!? როგორ შეიძლება, რამე მდგრადად ან არამდგრადად ჩათვალო, რისთვისაც თვალი არავის მოუკრავს, შეიარაღებული თვალიც – კი!
მ - საით ექაჩებით თოკს, შიდსის გამომწვევი ვირუსი საერთოდ არ არსებობს?
ი - კი, აქეთ ვექჩები!
მ - ესე იგი, არც გადამდებია?
ი - რა თქმა უნდა! იგივე აზრის არის ამერიკელი ბიოქიმიკოსი, ნობელიანტი კერი მულისი. იგი გადაჭრით უარყოფს ასეთი ვირუსის არსებობას. ნებისმიერი მძიმე დაავადების დროს იმუნური სისტემა ქვეითდება.
მ - კი, მაგრამ ხომ არსებობენ ადამიანები, ვისაც მძიმე დაავადება არ აქვს, თუმცა, შიდსიანებად ითვლებიან.
ი - ჰო, ამაზე პასუხი არც კერი მულისს აქვს. არც არავის.
მ - არ მითხრათ, ახლა!..
ი - თუ მკითხავ, გეტყვი.
მ - თქვენ გაქვთ?
ი - დიახ. ასეთ ადამიანებს არ აქვთ მძიმე სომატური დაავადება.
მ - მაშ, რა აქვთ?
ი - მძიმე ფსიქიკური დაავადება. მოდი, ერთხელ კიდევ გავშიფროთ შიდსი?
მ - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი.
ი - ყველაფერი დალაგდება თუ სიტყვა „სინდრომის“ ნაცვლად „სიმპტომს“ ვიტყვით.
მ - სიმპტომი, თავისთავად დაავადება არ არის. იგი დაავადების ერთ-ერთი გამოვლენაა. ასე არ არის?
ი - ასეა!
მ - თუ გადამდები არ არის, რატომ არის შიდსის მაღალი მაჩვენებელი ნარკომანებსა და ცისფერებს შორის?
ი - თქვენ, რა, ისინი ფსიქიკურად ჯანმრთელები გგონიათ!?
მ - მგონი, ჩავიჭერი!
ი - დღეს ეს ვიკმაროთ!

მოწყენილობა

ი - დღეს მოწყენილობაზე ვისაუბროთ!
მ - მოწყენილობაზე?!
ი - ჰო, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. მის განსაქარვებლად ადამიანმა ბევრი რამ მოიგონა; ხელოვნება, ლიტერატურა, თამაშები... ჩამოთვლას, ჯობს, ის ვთქვათ, რაც გასართობად არ არის მოგონილი. ეს მხოლოდ უშუალო მოხმარების საგნებია.
მ - მოწყენილობა გვეუფლება...
ი - მოცალეობის დროს. ამ საკითხს კონსტანტინე გამსახურდია „დავით აღმაშენებელში“ მთელ პასაჟს უძღვნის.
მ - გამახსნეთ!
ი - სახელმწიფო საქმიანობისგან უკვე განმდგარ გიორგი II-ს სტუმრად ჰყავდა ბიზანტიის (რომის იმპერიის) ასევე გადამდგარი სტრატეგოსი. სტუმარი გიორგის განწყობამ აღაფრთოვანა, თქვენ, მეფევ ბატონო, ევდემონიის იშვიათი ნიჭი გაქვთო.
მ - ევდემონია რას ნიშნავს?
ი - სწორედ ამ სიტყვას გამოეკიდნენ ისინიც და დაასკვნეს, ევდემონია მოცალეობითა განცხრომა არისო. მწერალმა კარგად იცოდა, რომ ეს იშვიათი ნიჭი იყო. რადგან მხატვრულ ნაწარმოებებზე ავიღეთ ქანი, კიდევ ერთ მწერალს მივაკითხოთ.
მ - იუმორისტს?
ი - არა, ჩემი აზრით მწერალთა შორის ფსიქოლოგიის ყველაზე უკეთეს მცოდნეს, ალექსანდრე დიუმას. მისი რომანების კითხვისას კაცს ნამდვილად უქარწყლდება მოწყენილობა, იმიტომ, რომ თავი ავიწყდება. მეტიც, ავიწყდება, რომ კითხულობს. „ორმოცდახუთში“ მეფე ჰენრიჰ III-ის შესახებ წერს: „ჰენრიჰი ნამდვილი საფრთხეების წინაშე ბრძოლისას შესანიშნავი სიმამაცით გამოირჩეოდა, თუმცა, ბავშვების და ქალების დარად ცრურწმენები აძრწუნებდა. მას მოჩვენება აშინებდა, მოლანდებების წინაშე თრთოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, შიშის განცდა მისთვის თავისებური გართონა იყო. როცა ეშინოდა, ისე მოწყენილი აღარ იყო. იგი იმ პატიმარს ემგვანებოდა, საკანში ჯდომით და უსაქმურობით თავმობეზრებულს რომ ამცნეს, წამებით დაკითხვაზე უნდა გაგიყვანოთო, წამოიძახა, ძალიან კარგი, რაღაც ცვლილება მაინც იქნებაო” („ორმოცდახუთი“, თავი XIV).
ერთ ციტატას კიდევ მოვიყვან დიუმადან.
მ - კი, ბატონო!
ი - მოწყენილობით თავმობეზრებულმა ჰენრიჰ III-მ შუაღამისას ერთ-ერთი ფავორიტი, ჰერცოგი ჟუაეზი ისტუმრა – ადმირალი – არავითარ საფრთხეს რომ არ ეპუებოდა, მაგრამ გემზე ყოფნას ვერ იტანდა.
მ - კარგი ადმირალი ყოფილა!
ი - სწორედ ეს არის დიუმა! ჰერცოგმა უთხრა: „ეს ალბათ ასეა, სირ, მაგრამ ჯერჯერობით მთელი კვირა მოწყენილობაში უნდა გავატარო. არ ვიცი, რა საქმეს ვეწიო. აზრად მომივიდა, ტკბილ სიზარმაცეს მივეცე. მოწყენილობა კარგი გართობაა... ადრე ასეთი ჩვევა არ მქონდა. ვთვლი, რომ არც მომხიბლაობა აკლია. აბა, რა, მომხიბლავია – შენიშნა მეფემ – მოწყენილობა მოდური, ხომ, მე გავხადე!’ (თავი XV).
მ - ჰენრიჰ ვალუას მეტი მოსვლია; მოწყენილობას ადრეც უჩიოდნენ.
ი - კი, მაგრამ გართობად დიუმას გმირებმა აქციეს.
მ - ცნობილია ლუდოვიკო XIV-ს გამოთქმა – ერთ-ერთ დიდებულს შესთავაზა, მოდი, ერთად მოვიწყინოთო.
ი - დიუმა თქვენც გყვარებიათ!
მ - კი.
ი - ასეთ საშინელ მოწყენილობას მხოლოდ საფრანგეთის მეფეები არ განიცდიდნენ. მათ, ხომ, საქმე თავზე საყრელად ჰქონდათ და, წესით, საამისოდ ვერც კი უნდა მოეცალათ. ესე იგი, მოწყენილობას მხოლოდ მოცალეობა არ ჰქმნის. საამისოდ დროს ყოველთვის პოულობენ?
მ - თუ ეძებ, იპოვნი.

ი - ეს დამთრგუნველი განცდა ფართო ცნებაა და მის გაფანტვას მრავალნაირად ვცდილობთ.
მ - გართობა რომ მოწყენილობისგან თავდაღწევის საშუალებაა, ამას, ალბათ, დიდი მტკიცება არ ჭირდება.
ი - ადამიანი ბევრი რამით ერთობა, ნადირობაც გართობაა (თუ სარეწი მნიშვნელობა არ აქვს). გართობაა ჰობი, მოგზაურობა, წვეულება, დისკოტეკა, აზარტული თამაშები, სპორტული სანახაობები...
მ - აკვიატებები?
ი - თავისთავად! არამხოლოდ აქვიატებული ქცევები, დაავადებების აკვიატებებიც; ეს მჭირს, ის მჭირსო. ექიმების შეგონება – არაფერი გჭირსო, არ ჭრის; ერთი უმძიმესი დაავადებიდან მეორეზე გადადიან. შესაბამისი სიმპტომებიც კი უჩნდებათ. ამას სხვები კარგად ამჩნევენ, მაგრამ, ზოგჯერ მათთვისახ შეუმჩნეველია, დაავადება ნამდვილია თუ შეუგნებლად, მაგრამ მაინც გასართობად მოგონილი. შაკიკიც (მიგრენი) ასეა. მოგეხსნებათ, ეს გავრცელებული დაავადება დღემდე ამოუცნობია.
მ - ძალიან ფართო წრე იხაზება.
ი - კი, ძალიან ფართოა. მოწყენილობას გაუცნობიერებლად ისეთი კისრისტეხით გაურბიან, რომ დიდ უბედურებაში ვარდებიან ხოლმე. განა სხვა რამე იწვევს ლოთობას, ნარკომანიას, ფათერაკებისკენ ლტოლვას, „მეოთხე განზომილებაში“ და ტრანსცენდენტალობაში გადასვლას!? ბოლოსდაბოლოს, თუ ამ „საშუალებებმაც“ არ უშველა კაცს, გამუდმებული “შიში და ძრწოლა“ (სიორენ კირკეგორი) ექნება და თვითმკვლელობაც მიზიდულობას შეიძენს.
მ - თვითმკვლელობაც გართობაა?
ი - აუტანელი მდგომარეობიდან გაქცევა: თვითმკვლელობაც, სხვისი მოკვლის დაუოკებელი სურვილიც.
ყველა ეს უბედურება, როგორც ჩანს, უფრო მსუბუქია, ვინემ მოწყენილობა, რადგან აქედან იქ გარბიან. რადგან ასე თავგამოდებით „გარბიან“, ესე იგი, ეს უმძიმესი განცდაა. ისევ დიუმას პერსონაჟის პირით რომ ვთქვათ: „მოწყენილობისგან ისევე კარგად კვდებიან, როგორც – მახვილისგან. მართალია, ეს უფრო ხანგრძლივია, მაგრამ უფრო ზუსტი“ (ა. დიუმა, „გრაფინია დე მონსორო“. თავი V).
მოგეხსენებათ, ყველა ცხოველი და ადამიანიც ასე უკანმოუხედავად მხოლოდ უდიდეს, შემზარავ საფრთხეს გაურბის ხოლმე. პანიკაშეპყრობილი გარბის და ვეღარ სვამს კითხვას, რატომ გარბის, რას გაურბის. ზოგჯერ სვამენ კიდეც ამ კითხვას (სიორენ კირკეგორი), მაგრამ საფრთხე ისე შემზარავია, მისი გააზრება არ ძალუძთ, და არასწორ პასუხს ებღაუჭებიან. ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები მხოლოდ იმას ცდილობენ, გასაქცევი გზა როგორმე მეტნაკლებად მოაპირკეთონ.
მ - ხომ არ გაშიფრავთ ამ ზოგად დებულებებს?
ი - კი, აუცილებლად, მაგრამ მანამდე აზრი უნდა დავასრულოთ. სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის და ასაკის ადამიანებისგან არაერთხელ გამიგონია, მოწყენილობისგან ყმუილამდე მივდივარო. მათ არც ცხოვრებისეული საზრუნავი აკლიათ და არც – სახსარი. მათ შორის ხელოვნების მოღვაწეებიც არიან, ანუ ისეთი ადამიანები, პროფესიად სწორედ მათთვის საინტერესო საქმიანობა რომ აქვთ.
საერთოდ, საფრთხე ჩვენს გარეშეა, მასზე რეაქცია – შიში – კი ჩვენი განცდაა. საფრთხემ თუ არ შეგვაშინა, მას ვერ ავერიდებით და თავს დავიღუპავთ. ამიტომ, შიში აუცილებელი, საფრთხისგან თავდასაცავი საშუალებაა.
მ - მოწყენილობა რა საფრთხეს შეიცავს?
ი - კარგი კითხვაა! მოწყენილობისგან გაქცევის საშუალებებს დავუკვირდეთ. ამ შემთხვევაში საფრთხე ჩვენს გარეშე მყოფი რამ არ არის. ჩვენშივე თუა, სად დევს, რა არის?
მ - ერთი წუთით! ყველაფერი ეს ქვეცნობიერად ხდება?
ი - უფრო სწორი ტერმინია არაცნობიერი. ადამიანის ფსიქიკა სამ პირობით შრედ, შეიძლება, დაიყოს: ცნობიერად, ქვეცნობიერად და არაცნობიერად.
მ - ცნობიერი გასაგებია. რა განსხვავებაა ქვეცნობიერს და არაცნობიერს შორის?

ი - ძალიან მოკლედ გეტყვით. ამას თუ გავყევით, გზას ავცდებით. ქვეცნობიერი დაკვირვების შედეგად, ასე თუ ისე, ცნობიერდება, არაცნობიერი კი – არა.
მ - მაშ, რა ვიცით, რომ არაცნობიერი არსებობს?
ი - ამაზე მომდევნო შეხვედრებისას ვისაუბროთ.
მ - დავუბრუნდებით?
ი - აუცილებლად! ახლა ჩვენს სათქმელს დავუბრუნდეთ! დავუკვირდეთ კლაუსტროფობიას. რა აფრთხობს მას, რას გაურბის? გარეშეზღუდულ მარტოყოფნას! ასეთ მდგომარეობაში – თუ რამე გადაუდებელი საქმე არ აქვს – კაცს მხოლოდ ერთი რამის კეთება შეუძლია; იგი იძულებულია, იფიქროს.
თუ ეს მოულოდნელი აზრი სწორია, რა მექანიზმი გვქონია!? თურმე მოწყენილობის გასაფანტად მოგონილი საქმიანობანი პიროვნების არაცნობიერსა და ცნობიერს შორის ჩადებული ბუფერია. უნებურად, ცნობიერების ჩაურევლად, ოღონდ საკუთარი ფიქრები არ მოიახლოვოს, ადამიანი მის შესაჩერებლად უამრავ დაბრკოლებას, ბარიკადებს ჰქმნის და ამას, ხშირად, გონებამახვილურად სჩადის. რაღაც არ მოგწონთ!
მ - რა საფრთხე უნდა ჰქონდეს ფიქრს; მძიმე ფიქრები იგულისხმება?
ი - ხო, ამ კითხვის დასმა ადვილია, პასუხი – ძნელი. ამიტომ ეს საუბარი უკანასკნელი არ უნდა იყოს.
მ - შემდგომი საუბრებისას გავარკვევთ რამეს?
ი - დიახ, ოღონდ, თანდათანობით, ეტაპობრივად.
საუბრის შეწყვეტამდე ერთი რამე მინდა, გითხრათ. მოწყენილობაზე საუბრისას შეუმჩნევლად დეპრესიის განხილვაზე გადავედით. დეპრესია, უბრალოდ უფრო მძაფრად განცდილი მოწყენილობაა, მისი მწვავე ფორმა. თუ იცით, როგორ მკურნალობენ დეპრესიას?
მ - გაგონილი მაქვს; წამლებით. ანტიდეპრესანტები ჰქვია.
ი - ისიც ხომ არ იცით, ანტიდეპრესანტები რა ტიპის წამლებია.
მ - ზუსტად არ ვიცი, ნივთიერებათა ცვლას ხელს უწყობს, ააქტიურებს. მოკლედ სტიმულატორებია.
ი - ჩემი აზრით, ვინც ამ წამლებს რეკომენდაციას უწევს, პაციენტს უწერს... რითმაზე ბოდიში, უნებურად მომივიდა! ვინც ასეთი წამლებით ცდილობს დეპრესიულს მდგომარეობა შეუმსუბუქოს, მას წარმოდგენა არ აქვს, რა არის დეპრესია... უფრო სწორად, რა წარმოშობს მას.
მ - დეპრესიას მთელს მსოფლიოში ანტიდეპრესანტებით მკურნალობენ!
ი - კი, მაგრამ რატომღაც არ უკვირდებიან, რომ ამ წამლებით საპირისპირო შედეგს აღწევენ; დეპრესიას ამძიმებენ.
მ - ვითომ?
ი - აბა, დაფიქრდით! ნებისმიერი ავადმყოფობა, ხატოვნად, შეიძლება, ბრძოლის ველად წარმოვიდგინოთ. ორი კონფლიქტური მხარე ებრძვის ერთმანეთს. გარედან შემოჭრილი ან შინაგანი – ნივთიერებათა არასწორი ცვლით – ორგანიზმისთვის მავნე ბიოქიმიურ ელემენტებს ებრძვის დამცავი საშუალებები. ბრძოლას მსხვერპლი მოსდევს, ორგანიზმი სუსტდება. მედიცინა წამლებით ან სხვა საშუალებებით ავადმყოფს ეხმარება, რომ ეს ბრძოლა მოიგოს. ასე არ არის?
მ - კი, ასეა!
ი - შინაგანი, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, ფსიქიკური კონფლიქტის დროსაც ასეთივე ბრძოლა მიმდინარეობს.
მ - რასა და რას შორის?
ი - ხო, კარგი კითხვაა! თუ ჩვენი საუბრები გაგრძელდა, სწორედ ეს მინდა, განვმარტო – შინაგანი კონფლიქტის დროს რას და რას შორის არის ბრძოლა. ამაზე პასუხის გაცემა, ჯერ, ნაადრევია. მთავარია, რომ ბრძოლა ნამდვილად მიმდინარეობს, რადგან დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ავად არის. ვინც ამ საკითხს შეხებია, არავინ ამბობს, რომ დეპრესიას გარედან შემოსული მიკრობები იწვევს.
მ - იწვევენ!

ი - არა, გენაცვალე! მრავლობით რიცხვში უსულო საგანი ზმნას მხოლობითში ითავსებს. ქართულში ასეა!
მ - ერთი წუთით! „იდგნენ და ელოდნენ, უსაზღვროა მთების მოლოდინი“. მთა უსულო საგანი არ არის!?
ი - საერთოდ, მთა – კი, მაგრამ ვაჟა-ფშაველას იგი გაცოცხლებული ჰყავს; უსულო საგანი ვერ დაელოდება. ეს მეხუთე კლასის გრამატიკაშია განმარტებული.
მ - ყველა მრავლობითში ხმარობს!
ი - ცდებიან, ისევე, როგორც დეპრესიის დროს ანტიდეპრესანტების მიცემისას. დეპრესიას, იცით ალბათ, საკმაოდ ხანგრძლივი რემისიები აქვს...
მ - რემისია, ეს...
ი - უკეთ ყოფნის პერიოდია; აჟიტირებულიც კი არიან. აჟიტირება მათ ღლით და ისევ დეპრესიული განწყობა ეუფლებათ. მგონი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ დეპრესიისას ადამიანის ფსიქიკა ისვენებს – აღარ იბრძვის. ანტიდეპრესანტების მიცემით კი ამ დასვენების საშუალება არ ეძლევა. ესე იგი, მედიკამენტური ჩარევით დამცავ მექანიზმს კი არ აძლიერებენ, არამედ შემტევ ძალას.
მ - კი, ბატონო, მაგრამ სანამ არ გაირკვევა რა არის შემტევი ძალა, მანამ, რაღაც...
ი - „რაღაც დაულპა დანიის გვირგვინს“.
მ - ვერ გავიგე, თოკს საით ექაჩებით!
ი - ძნელი მისახვედრი არ არის. მინდა, რომ სწორი და მწყობრი კითხვები დაისვას.
მ - რომ მერე პასუხები გასცეთ?
ი - რა თქმა უნდა! დღეს კიდევ ერთ რამეს დავუმატებ! დეპრესიის უმწვავესი გამოვლინების დროს ხშირად თავს იკლავენ. თუ სულზე მოუსწრეს, რადგან სხვა საშუალებას ვერ ხედავენ, ელექტროშოკს მიმართავენ. ოცდამეერთე საუკუნეში!
მ - აუჰ!
ი - კი, გეთანხმებით; ბარბაროსული საშუალებაა. აბა, რა ჰქნან, სხვა გზა რომ არ ჩანს! ელექტროშოკი ადამიანს აშტერებს, აჩლუნგებს, ორგანიზმს აქტივობას უქვეითებს. გარკვეული პერიოდი სუიციდური ლტოლვა ქრება.
მ - ესე იგი, არ იკურნება!
ი - არა! ამიტომ ელექტროშოკს მეორედ უტარებენ, მესამედ, მეოთხედ... მანამ, სანამ საბოლოოდ არ გამოფიტავენ ორგანიზმს.
მ - მძიმე სურათია!
ი - ნახვამდის!
მ - საუბარს განვაგრძობთ?
ი - თუ თქვენი სურვილი იქნა, კი.
მ - მადლობელი ვიქნები!

ეპილეფსია

ი - მოდი, ახლა, ეპილეფსიაზე ვილაპარაკოთ!
მ - ვახ!
ი - რა იყო?
მ - ესეც ფსიქიკურია?
ი - კი, თუმცა, ასე სიტყვაზე ნუ მენდობით.
მ - არც ვაპირებ!
ი - ძალიან კარგი! განვიხილოთ!
მ - კი, ბატონო!

ი - ეპილეფსია ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა – ეპილამბანო – ნიშნავს „ვბოჭავ“, „ვიჭერ“. ქართულად გულყრა ჰქვია.
მ - ბნედაც!
ი - კი, სინონიმებია. იგი პაროქსიზმულ რღვევას იწვევს, აგრეთვე კრუნჩხვით შეტევებს. შეტევებს შორის ორგანიზმში გარკვეული ფსიქო-ემოციური ცვლილებები ხდება. მას ხან ღვთიურ, ხანაც, სატანისტურ გამოვლინებად თვლიდნენ. სხვანაირად მისი ბუნება ვერ აეხსნათ; სად, როდის, რატომ ემართებოდა ადამიანს. ახლა მისი ღვთიური ან სატანისტური წარმომავლობა აღარ ჯერათ. სამაგიეროდ მისი გამომწვევი იმდენი და ისე ურთიერთგამომრიცხავი მიზეზია დასახელებული, რომ საბოლოოდ სრული გაუგებრობა სუფევს.
მ - რა ეშველება ამ საქმეს?
ი - ბოლობოლო, საკმაოდ ჭკვიანი ხალხი გარკვეულ კომპრომისამდე მივიდა. ციტატას მოვიყვან: „ყველაზე მეტად გავრცელებულ თვალთახედვას უნდა დავეთანხმოთ, რომ ეპილეფსიის გამომწვევი მიზეზებია; 1. კონსტიტუციური ან გერეტიდალური ინდივიდუალური მზაობა; 2. ტვინის ეპილეპტიკური დაზიანება; 3. ლოკალური ან გენერალიზებული ბიოქიმიური ან ელექტრული ცვლილებები. რაც უფრო ინტენსიურად არის წარმოდგენილი ერთ-ერთი ფაქტორი, მით ნაკლები ინტენსივობის სხვა ფაქტორებს შეუძლია ეპილეფსიური გულყრის გამოწვევა. ცოდნის ამ დონეზე, როგორც ჩანს, ეს კონცეფცია ყველაზე მეტად მისაღებია.“ (რ. მაკნოუტონი). მოემზადე!
მ - რისთვის?
ი - მოსაწყენი ჩამონათვლისთვის. „ეპილეფსიის მიზეზებად, აგრეთვე, ითვლება გენეტიკური და სამშობიარო ფაქტორები - განვითარების მანკიერებანი (ქრომოსომული დარღვევების ჩათვლით), ანტენატალური ფაქტორები (ინფექციები, წამლების მოქმედება, ანოქსია), პერინატალური ფაქტორები, სამშობიარო ტრავმა, ნეონატალური ასფიქსია, პერინატალური ინფექციები, პერინატალური სიყვითლე, დღენაკლულობა. ინფექციები - მენინგიტები (ჩირქოვანი, ტუბერკულიოზური, ვირუსული, პარაზიტული, სოკოვანი), ეპიდურალური და სუბდურალური აბსცესები; ტვინის აბსცესები და გრანულომები (მეტასტაზური, უშუალოდ გავრცელებადი); ენცეფალიტები (ვირუსული და სხვა – პარაზიტულების ჩათვლით), ციება (ფებრილური კონვულსიები). ტოქსიკური ფაქტორები - არაორგანული ნივთიერებები (მაგ. ნახშიროჟანგი), მეტალთა ნაერთი (მაგ. ტყვიის სინდიყის), ორგანული ნივთიერებები (ალკოჰოლი და სხვა), მედიკამენტური, ალერგიული დარღვევები (უცხო ცილების შეყვანა, ვაქცინაცია), სხვები (ურემია ან სხვა ტოქსიკური მდგომარეობები). ტრავმები ან ფიზიკური აგენტები - თავ-ქალის მწვავე ტრავმები, სუბდურალური ან ეპიდურალური გემატომა და ჩაქცევები, პოსტტრავმატული მენინგო-ცერებრალური ნაწიბური, ანოკსია ან ჰიპეროქსია. ცირკულატორული დარღვევები - სუბარაქნოიდული სისხლდენა, სინუსტრომბოზი, ტრომბოზით გამოწვეული ენცეფალომაცია, ემბოლია, ჰემორაგია, ჰიპერტონული ენცეფალოპატია, არტერიოსკლეროზი და არტერიების ოკლუზირებული დაავადება – ინტრაკრანიული და ექსტრაკრანიული, ვაზოსპაზმები (მაგ. შაკიკი), გულწასვლები, ცვლილებები სისხლში (ანემია, ჰემორაგიული დიათეზი). მეტაბოლური დარღვევები და კვების დარღვევები - ელექტროლიტური და წყლის ბალანსის დარღვევები (ნატრიუმი, კალციუმი, ჰიდრატაცია ან დეჰიდრატაცია და სხვა). დარღვევები - ნახშირწყლების ცვლის (ჰიპოგლიკემია, ჰიპერგლიკემია), ცილების ცვლის (ფენილკეტონურია, პორფირია და სხვა), ცხიმის ცვლის, ვიტამინების ნაკლებობა (პირადოქსინის და სხვა), ენდოკრინული (მენსტრუალური და სხვა), ორსულობა, სიმსივნეები; პირველადი ინტრაკრანიალური, მეტასტატიკური, ლინფომა და ლეიკიმია, სისხლძართვთა სიმსივნეები და ვასკულარული მალფორმაცია (მაგ. არტერიოვენოზური მალფორმაცია). შთამომავლობითი და დეგენერაციული ავადმყოფობები - მრავლობითი სკლეროზი, ლეიკოენცეფალოპატია, ტუბეროზული სკლეროზი, ცერებრალური დეგენერაცია კონვულსიებით და ა.შ. გაურკვეველი მიზეზები“. (რ. მაკნოუტონი). აქ ერთ კალათაშია ჩაყრილი ტრავმით, მოწამვლით, სომატური დაავადებით გამოწვეული კრუნჩხვები და ფსიქოგენური გულყრები. ჩემი აზრით, ან ეპილეფსია რა არის, არ იციან, ან მისი გამომწვევი მიზეზებისთვის ვერ მიუკვლევიათ და ღობე-ყორეს ედებიან. უფრო სწორედ, ერთიც

არის და მეორეც. კიდევ უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ამ დაავადების არც თავი იციან და არც ბოლო.
თუ თავში მკვრივი საგანი მოგხვდა, კოპი ამოგივა. ტკივილიც გვექნება კარგა ხანს. ხომ არ შეიძლება, ტკივილი კოპით იყოს გამოწვეული! ასეთი შეცდომა მოსდით ეპილეფსიის მიზეზის დადგენის დროს. ის, რაც ეპილეფსიას იწვევს, იწვევს ორგანულ ცვლილებებსაც. ეპილეფსიაც და თანმდევი ცვლილებებიც სხვა მიზეზის შედეგად არის გამოწვეული.
ეპილეფსია ორგანიზმის ისეთი ნჯღრევაა, რა თქმა უნდა, სხვა მოვლენებიც ახლავს თან, მისით გამოწვეულიც და, ამის გამო, ხანგრძლივად თანმდევიც. მგონი, შეცდომას იქ უშვებენ, როცა მას ცალკე მდგომ ავადმყოფობად, დაავადების სინდრომად განიხილავენ. იგი სინდრომი კი არა, ერთ-ერთი, კი ბატონო, რთული, მაგრამ მაინც სიმპტომია. მოგეხსენებათ, ერთიდაიგივე სინდრომი სხვადასხვა ორგანიზმში სიმპტომთა განსხვავებულ სურათს იძლევა. ეს რომ ასეა, ყველა ექიმმა იცის. ავიღოთ ერთ-ერთი ყველაზე უფრო „მარტივი“ ფორმა – აბსანსები. „იგი 5-10 წამს გრძელდება. ამ დროს ცნობიერება ითიშება. პიროვნება გარკვეულ პოზაში შეშდება. ზოგჯერ ფითრდებიან, ან, სახე უწითლდებათ. შეიძლება თავი უკან გადააგდონ კიდეც. შეტევის დამთავრების შემდეგ პიროვნება შეწყვეტილ საქმიანობას აგრძელებს ხოლმე. იქვე მყოფი ადამიანები ამ გულყრას ვერც კი ამჩნევენ; უყურადღებობას მიაწერენ“.
დაუკვირდით ბოლო აბზაცს! 5-10 წამს გრძელდებაო. რამდენი დროა ხუთსა და ათ წამს შორის! საკუთარი პრაქტიკიდან ვიცი, ზოგჯერ ორი წამიც გრძელდება და სამიც; ეს ასაკზე, ინდივიდზე, გარემოზე და კიდევ უამრავ რამეზეა დამოკიდებული. გარკვეულ პოზაში შეშდებაო. აქ ერთი რომელიმე პოზა არ იგულისხმება; სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოში სხვადასხვა პოზა, შეიძლება, აღინიშნოს. ზოგი გაფითრდება, ზოგი წამოწითლდება, ზოგს ფერი არც კი ეცვლება. შეტევის დამთავრების შემდეგ საქმიანობას აგრძელებენ ხოლმე. მეტიც, ზოგჯერ საუბარიც არ უწყდებათ. გააკეთეთ ამ მოვლენების ჯუფთება და გადანაცვლება და, ნახავთ, რამდენ ვარიანტს მიიღებთ. რა ვქნათ ახლა, თითოეულ მათგანს ცალკე სახელი დავარქვათ და სინდრომად ვაქციოთ!?
ერთი რამ, ალბათ, შეიძლება, ვთქვათ; ეპილეფსიის სინდრომი არ არის დადგენილი, ხოლო მისი გამომწვევი მიზეზი მიკვლეული. ჩვენ საკმაოდ ბევრი ეპილეპტიკი გვყავს განკურნებული, თუ არ ვცდები, ყველა სახის (ფსიქოანალიზით, უწამლოდ). ოღონდ არასდროს ეპილეფსიის მკურნალობა მიზნად არ გაგვიხდია. ჩვენ ვმკურნალობდით სულიერ დაავადებას და ეპილეფსია, როგორც სულიერი აშლილობის ერთ-ერთი სიმპტომი, უკვალოდ და სამუდამოდ ქრებოდა. საოცარ მოვლენას გადავაწყდით: ყველა ეპილეპტიკი ანალიზის გარკვეულ ეტაპზე აცნობიერებდა, რომ გულყრები მისთვის ძალზე ახლობელი, მშველელი, უფრო მეტიც, გადამრჩენელი და, ამიტომ სასურველი, აუცილებელი მოვლენაც კი იყო. ასე ამბობდნენ, გულყრებს მე თავად ვიწვევდი, მჭირდებოდაო. გულყრებს კი იწვევდნენ, მაგრამ შემდეგ მის მიმდინარეობას და სახეობას ვეღარ აკონტროლებდნენ. სამაგიეროდ აფექტის შემდგომ სისუსტეს, სრულ განადგურებულ მდგომარეობას სხვა დროს განუცდელი სიმშვიდე ახლდა.
ეპილეპტიკთა დაკვირვების შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივედით. ფსიქიკურად უკიდურესად დაძაბული, დამუხტული ტვინი და სხეული განმუხტვას, დაშოშმინებას, შვებას ითხოვს. გულყრა უმწვავესი აფექტია. აფექტის შემდეგ კი, მოგეხსენებათ, სიმშვიდე ისადგურებს (ეს არისტოტელემაც კი იცოდა).
რა უბედურებაა ეს, რატომ იმუხტება ასე ადამიანის არსება, როგორ აგნებს ცნობიერების ჩაურევლად თავდახსნის საშუალებას, რატომ არის სიმპტომთა ასეთი მრავალფეროვნება და, რაც მთავარია, რა იწვევს მას. ამაზე შემდეგ ვისაუბროთ. თუმცა, მანამდე შაკიკზე მინდა, ორიოდე სიტყვის თქმა.
მ - მიგრენს რომ უწოდებენ, არა?
ი - ჰო, ქართულად შაკიკი ჰქვია. არც ეს უნდა იყოს ქართული წარმომავლობის სიტყვა.
მ - ეს ვიცი. ჩემს ნათესავს ჭირს. ბევრი ექიმი და კლინიკა მოიარა, ლიტერატურაც იკითხა. ხუმრობს, სპეციალისტი გავხდიო. ბოლოს მიხვდა, ამ დაავადების ასავალ-დასავალი არავინ იცის.
ი - შაკიკით მილიონობით ადამიანი იტანჯება.

მ - რაღაცით ხომ არის გამოწვეული?
ი - კი.
მ - რატომ ვერ აგნებენ?
ი - იმიტომ, რომ იქ არ ეძებენ. ერთი ანეგდოტი გამახსენდა. ერთი კაცი ქუჩაში, ღამით მეორეს გადააწყდა, განათებულ ადგილას რაღაცას ეძებდა. რას ეძებო, ჰკითხა. ბეჭედი დამივარდა და ვერ მიმიკვლევიაო. ორივემ დიდხანს ეძება. მაინც რომ ვერ ნახეს, პირველმა ჰკითხა, ბეჭედი აქ დაგივარდაო? არა, იქითო. მაშ, აქ რატომ ეძებო. იმიტომ, რომ იქ ბნელაო. ნახავდნენ იქ ბეჭედს?
მ - ვერა.
ი - ასე ეძებენ შაკიკის და ფსიქიკური აშლილობის მიზეზსაც.
მ - იქით ბნელა?
ი - სრული წყვდიადია.
მ - თქვენ შეგიძლიათ, ის ადგილი გაანათოთ?
ი - კი. ხვალ გამოვალ კავშირზე.
მ - გელოდებით!

პატივმოყვარეობა

ი - პატივმოყვარეობაზე ვისაუბროთ!
მ - კი, ბატონო!
ი - პატივმოყვარე ხართ?
მ - მე-ე?! არ ვიცი. ჯერ კარგად ამიხსენით ამ ტერმინის მნიშვნელობა.
ი - პატივმოყვარეობა სხვისგან პატივის მიღების სურვილია.
მ - რატომაც არა!
ი - ეს ბუნებრივი სურვილია. ადამიანი სოციალური ცხოველია, საზოგადოებაში ცხოვრობს და მისთვის სულერთი არ არის, როგორ ეპყრობიან სხვები.
მ - დიახ.
ი - დღეს ამ სიტყვას, რატომღაც, ბარბარიზმი ამჯობინეს და ამბიცია უწოდეს. მოდი, გადაჭარბებულ პატივმოყვარეობაზე ვთქვათ – ყველაფერი გადაჭარბებული, ხომ, მანკიერია! ბარათაშვილმა რომ თქვა, ისეთზე:
„თვითონ მეფენიც, უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამა სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან, როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს? და აღიძვრიან იმავ მიწისთვის,
რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან.“
ასეთი პატივმოყვარეობის დროს საშუალებას მიზანი ეწირება. ათი მცნება გახსოვთ?
მ - ზეპირად, არა!
ი - ერთ-ერთი ასეთია: „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყნის: არა თაყვანსცე მათ, არცა მსახურებდე მათ“. დიდი დაკვირვება არ უნდა, რათა „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი“, ასე გავიგოთ; ნუ იქნები პატივმოყვარეო.
მ - ზედმეტადო!
ი - როცა ამ სიტყვას ვამბობ, ზედმეტს ვგულისხმობ.
მ - რამე მაგალითი კარგი იქნებოდა.
ი - მოვიყვან! ადამიანის ეს ნიშატი რომ საძრახისი იყო, ოდითგან იცოდნენ და, ცდილობდნენ, დაეთრგუნათ. „ომის მოყვარული ის არის, ვინც პატივმოყვარეობას საკუთარ უშიშროებას ანაცვალებს, ნამდვილი მეომარი კი ის გახლავთ, ვინც ომით თავის სიცოცხლეს იცავს“. ეს პლუტარქემ დაწერა.
მ - პატივმოყვარეობა და თავმოყვარეობა, ხომ, სხვადასხვა რამ არის?

ი - მათ შორის თვისობრივი განსხვავებაა. თავმოყვარე კაცი თავისუფალია. იგი ძნელი სამართავია. პატივმოყვარეს დაწინაურება ისე ძლიერ სურს, მონის როლს ადვილად კისრულობს. იგი მართვადია. ა. დიუმას მიხედვით კარდინალმა რიშელიემ რომ დ'არტანიანი გაიცნო, ჰკითხა, ყმაწვილო, პატივმოყვარე თუ ხარო. იცოდა, პატივმოყვარე კაცს ადვილად მოიმსახურებდა. ათოსი მისთვის გამოუსადეგარი იქნებოდა. იმედია „სამი მუშკეტერი" წაკითხული გაქვთ!
მ - კი, როგორ არა!
ი - პატივმოყვარეობას და მანია გრანდიოზას შორის კი მხოლოდ რაოდენობრივი განსხვავებაა. მათ შორის წყალგამყოფი არ არის. ვინც ნიჭიერია და ბედიც წყალობს (არკოლეს ხიდზე ნაპოლეონის გადარჩენა ბედი იყო), კარიერის საფეხურზე ზევით მიიწევს და მანიაკალური მდგომარეობა, გარკვეულ დრომდე, შეზღუდული აქვს. თუ ნიჭმა ამდენი საშუალება არ მისცა, სასურველს სინამდვილედ მიიღებს და გააფრენს – ნელ-ნელა ჰალუცინაციები შემოეპარება.
მ - აუჰ, ეგეთები ბევრი გვყავს!
ი - პლუტარქედან რამდენიმე ციტატა უნდა მოვიყვანო. „თავისი მხედრობით უკმაყოფილო, სიბრაზისგან გაცეცხლებული ალექსანდრე კარავში ჩაიკეტა და დაწვა. მისი აზრით, მის მიერ აქამდე შესრულებული საგმირო საქმეებს აღარავითარი ფასი აღარ ექნებოდა თუ იგი განგზე არ გადავიდოდა." „მეგობრებთან ურთიერთობაში ალექსანდრე საერთოდ საყვარელი მეფე იყო ყველა მეფეთა შორის და არც თავაზიანობა აკლდა. მაგრამ მერე აუტანელი გახდა თავისი ტრაბახით; უბრალო ჯარისკაცივით მეტისმეტი მკვეხარობა დაიწყო და მლიქვნელების ნათქვამს დიდ ანგარიშზ უწევდა. ამან მის გარშემო მყოფი პატიოსანი მეგობრები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. მათ არ სურდათ მლიქვნელებს ქლესობაში შეჯიბრებოდნენ, მაგრამ არც ის აძლევდათ ხელს, მეფის ქებაში ჩამორჩენილიყვნენ. მათი აზრით, პირველი სამარცხვინო იყო, მეორეს, შეიძლება, საფრთხე მოეტანა". თავი ხომ არ შეგაწყინე ციტატებით?
მ - არა, რატომ; საინტერესოა!
ი - მაშინ, განვაგრძობთ! „პირველ ხანებში, როცა სისხლის სამართლის საქმეებს არჩევდა ხოლმე, ამბობენ, ბრალმდებლის ლაპარაკის დროს ცალ ყურზე ხელს იფარებდა, რათა ერთი ყური ბრალდებულის სასარგებლოდ წმინდად დაეცვა და ცილისწამება მოესმინა, მაგრამ შემდეგში დაუსრულებელი დასმენების წყალობით ფრიად სასტიკი გახდა და ნამდვილი ბრალდების სიცრუესაც ჭეშმარიტებად თვლიდა. ყველაზე უფრო მაშინ კარგავდა გონებას, ხდებოდა მრისხანე და შეუბრალებელი, როცა საკუთარ თავზე ცუდ რამეს მოისმენდა, ვინაიდან სახელი სიცოცხლეზე და მეფობაზე უფრო მეტად უყვარდა".
„სხვათა შორის, იგი უკვე მრისხანე და შეუბრალებელი გახდა დამნაშავეთა დასჯის დროს. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ჰეტეროსი მენანდრე, ციხე-სიმაგრის უფროსად რომ იყო დანიშნული, სიკვდილით დასაჯა მხოლოდ იმიტომ, რომ მან არ მოინდომა იქ დარჩენა".
„ალექსანდრე მაშინ ცრუმორწმუნეობას მიეცა და მუდამ მოუსვენრობასა და შიშში იყო. თუ უჩვეულო და უცნაურ რამეს შეამჩნევდა, თუნდაც სულ უმნიშვნელოს, სასწაულად და უბედურების მომასწავკებლად თვლიდა. მისი სასახლე მსხვერპლის შემწირველებით, ცოდვათაგან განმწმენდი ქურუმებითა და წინასწაწმეტყველებით აივსო".
ასე იქცეოდა სიცოცხლის ბოლო ხანს ალექსანდრე მაკედონელი, ბერძნულ, დემოკრატიულ გარემოსთან ნაზიარევი კაცი – არისტოტელეს აღზრდილი.
ყველა მბრძანებელი თავს იმართლებდა და იმართლებს, იძულებული ვიყავი სასტიკი ღონისძიებები გამეტარებინაო. საკმაოდ კარგად ასაბუთებენ კიდეც ამას. ჩინგის-ხანიც ვერ გაექცა ამას; იძულებული ვარ, მთელი მსოფლიო დავიპყრო, რათა ომები საერთოდ აღვკვეთოო. თუმცა, ეს აზრი მოგვიანებით მოუვიდა თავში, როცა ახალი დაპყრობების სრული უაზრობა ძალზე თვალსაჩინო შეიქნა. რა თქმა უნდა, იგი „იძულებული" იყო ხვარაზმს თავს დასხმოდა. ხვარაზმ-შაჰის ქვეშევრდომმა, ოთრართის გამგებელმა მისი ვაჭრები (სინამდვილეში – მზვერავები) გაძარცვა და დაიფრინა. ეს უსამართლობა ჩინგის-ხანმა ვერ აიტანა, ერთ ღამეში შეჰყარა სამოცათასიანი არმია და მასავით დამპყრობელს შეესია.
კაცს რომ ერთ ღამეში არმიის თავმოყრა, დარაზმვა და გალაშქრება შეუძლია, მას ნიჭიერებას ვერ წაართმევ. უნიჭო, რა თქმა უნდა, არც მაკედონელი იყო, არც – კეისარი, არც – ნაპოლეონი,

ჰიტლერი, სტალინი და სხვები. მათ ხალხის აყოლიება, რაღაც იდეოლოგიის შეჩეჩება და დაპყრობების, ასე თუ ისე, გამართლება შეეძლოთ. პლუტარქე თავისი ორმოცდაათი გმირის მოღვაწეობის აღწერისას მათი ქმედების მოტივად მხოლოდ პატივმოყვარეობას ასახელებს; მეტს – არაფერს. ხანდახან, ძალზე იშვიათად, ზოგი გმირი კეთილ საქმესაც კი ჩადის, თუკი ძალაუფლების გასაზრდელად, აქ და ამჟამად, გარემოებათა გამო სიკეთე უფრო გამოსადეგია ხოლმე. სიკეთეც, რა თქმა უნდა პირობით რამ არის; ერთის სიკეთე მეორესთვის დიდი უბედურება, შეიძლება, შეიქნას. „ბუნებით დიად საქმეთა შესასრულებლად დაბადებული და პატივმოყვარე კეისარი მოპოვებულ წარმატებებს როდი სჯერდებოდა; მიღწეული გამარჯვება ბოლომდე ვერ ატკბობდა; პირიქით, მომავლისთვის აქეზებდა და მხნეობას მატებდა. ეს წარმატებანი ახალ დიდ განზრახვებს უღვიძებდა და ახალი სახელის მოხვეჭის ჟინს აღუძრავდა. თითქოს ყველა დიდება უკვე მოპოვებული ჰქონდა. კეისრის ეს ვნება სხვა არა იყო რა, თუ არა ქიშპობა საკუთარ თავთან ისე, ვით ვინმე სხვასთან; ეს იყო ერთგვარი პატივმოყვარული მისწრაფება, რათა მომავალში განზრახულ საქმეთ უსაზღვროდ გადაეჭარბებინა მოპოვებული მიღწევებისათვის.
კეისარს განზრახული ჰქონდა და ემზადებოდა კიდეც იმისთვის, რომ პართების წინააღმდეგ გაელაშქრებინა. პართების დამორჩილების შემდეგ იგი ფიქრობდა, გასულიყო ჰირკანიაში, აჰყოლოდა კასპიის ზღვის სანაპიროებს და კავკასიას, შემოევლო პონტოსთვის და სკვითიაში შეჭრილიყო; ხოლო აქედან გადაევლო გერმანიის მეზობლად მდებარე მხარეები, თვითონ გერმანიაც და კელტთა ქვეყანაზე გადავლით იტალიაში დაბრუნებულიყო. ამგვარად, კეისარს სურდა, ისე შეეკრა რომის იმპერიის წრე, რომ იგი ყოველმხრივ ოკეანეთი ყოფილიყო შემოსაზღვრული“.
მიუხედავად იმისა, რომ ეს პატიოსანი ხალხი მრავალი საუკუნის განმავლობაში ებრძოდა ამ საძრახის ზნეს, მაინც არაფერი ეშველა თქვენს მტერს. მხოლოდ ორ მაგალითს მოვიყვან.
„მაშ, მიიღეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ეს მოკრძალებული ძღვენი იმავე გრძნობით, რომლითაც მას გწირავთ: თუკი ინებებთ და გულდასმით განიხილავთ მას, შიგ ჰპოვებთ ჩემს მხურვალე სურვილს – მიაღწიოთ იმ სიდიადეს, რასაც სვებედნიერება და ბევრი სხვა სიკეთე გიქადით. თუ თქვენი უდიდებულესობა თავისი სიმაღლის მწვერვალიდან ერთხელ მაინც გადმოავლებს თვალს ამ დაბლობებს, დარწმუნდება, რაოდენ დაუმსახურებლად ვითმენ ბედისწერის სისასტიკეს და დაუსრულებელ უკუღმართობას“ (ნიკოლო მაკიაველი, „მთავარი“. „დიდებულ ლორენცო პიერო მედიჩის ძეს“. წინასიტყვა).
მაკიაველი თხუთმეტი წელიწადი ფლორენციის რესპუბლიკის კანცლერი იყო. თავგამოდებით იცავდა რესპუბლიკას ტირანიისგან; რამდენიმე წიგნიც კი დაწერა და, სხვათა შორის, ჭკვიანი ადამიანის სახელიც დაიგდო. შემდეგ, ფლორენციის რესპუბლიკა ლორენცო მედიჩიმ შემუსრა და ტირანად დაჯდა. სწორედ ამ მედიჩის ემუდარებოდა თხუთმეტი წელი სწორედ ის მაკიაველი რაიმე, თუნდაც სულ უმნიშვნელო პოსტი მიეცა მისთვის. ბოლოს, წიგნიც კი დაწერა, სადაც ტირანს ასწავლიდა, როგორც უნდა აეღო ხელში ძალაუფლება. არ იფიქროთ, რომ მას საცხოვრებელი სახსარი დაეშრიტა და ამიტომ იძულებელი შეიქნა, სამათხოვროდ გაეწვდინა ხელი. არა, იგი შეძლებული მემამულე იყო; არაფერი აკლდა, მეტიც ჰქონდა; ოღონდ რაიმეთი დაესაქმებინათ, ხელფასზედაც უარს ამბობდა. მედიჩიმ, რა თქმა უნდა, პასუხიც კი არ აღირსა მას.
მეორე ამბავი სკანდინავიაში მოხდა. 1844 წელს გარდაიცვალა შვედეთის ბერნადოტების დინასტიის დამაარსებელი, მეფე კარლ XIV. მიცვალებულის განბანისას დიდებულები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მეფეს მხარზე ამოსვირინგებული ჰქონდა დევიზი - „ძირს ყველა მეფე!“. რა თქმა უნდა, გაახსენდათ, რომ ადრე, ახალგაზრდობაში იგი საფრანგეთის რევოლუციის მგზნებარე მონაწილე, შემდეგ ნაპოლეონის მარშალი ბერნადოტი იყო. იგი, ნაპოლეონის მხარდამხარ რესპუბლიკური დივიზიის სათავეში მდგომი, ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ევროპელ მონარქებს.
მოკლედ, პატივმოყვარე ხალხს, ეშმაკი არ ასვენებს. ვიმეორებ, ძველები პატივმოყვარეობას ადამიანის ბუნებრივ, თანდაყოლილ, თუმცა საძრახის თვისებად თვლიდნენ. ანტიკური ხანიდან

აღორძინებამდე არც ცივილიზაცია, არც აზროვნება წინ არ წასულა; უფრო პირიქით მოხდა. მაკიაველიდან მოყოლებული, როგორც ჩანს, საუკუნეთა გამოცდილებამ მოაზროვნე პიროვნებები დაარწმუნა, ამ თვისების დათრგუნვა, ან, თუნდაც, შეზღუდვა მიუღწეველი უტოპია იყო. ამიტომ, შეგონებებზე ხელი აიღეს, პატივმოყვარეობის განქიქებას თავი ანებეს და რჩეულებს იმის სწავლება დაუწყეს, ეს ლტოლვა როგორ დაეკმაყოფილებინათ. აქ გავჩერდეთ, თორემ, წარსულის მაგალითები იმდენია, დღეს ვერ მოვათავებთ.
მ - ეს ყველაფერი ზეპირად გახსოვთ?
ი - ძველ ჩანაწერებს ვქექავ. ამ განცდის დაკმაყოფილება გამუდმებულ მეცადინეობას მოითხოვს. პატივმოყვარე კაცი მოუსვენარია. კარიერა რომ გაიკეთოს, უნდა იმოქმედოს, ათასნაირი გეგმა ააწყოს, ვიღაცას უნდა შეეკრას – სანამ ჭირდება, სხვას შეეკრას – სანამ დაჭირდება. ეს განუწყვეტელი მეცადინეობა ქანცის გამწყვეტია. ყველაფერ ამას მოტივირება ჭირდება; საზოგადოებასთან, საკუთარ თავთან, სინდისთან შეთანხმება. მოკლედ ასეთი კაცი გამუდმებით ჭაპანწყვეტაშია. ამას მთელი მისი არსება ემორჩილება. ეს იმდენად მძლავრი მისწრაფებაა, იმდენად იპყრობს მას, რომ გარშემომყოფნი ხშირად გაკვირვებული არიან მისი მჩქეფარე ენერგიით, თავგამოდებული საქმიანობით.
მ - პოლიტიკოსებზე ამბობთ?
ი - არამხოლოდ მათზე. უბრალოდ ისინი უფრო ჩანან. ასეთ კაცს ევდემონიის ნიჭი არ აქვს, ვერ ისვენებს; საამისოდ „დროს ვერ პოულობს“.
მ - ეს დეპრესიას ეხმიანება!
ი - კი, ბატონო! ზოგჯერ რაიმე გაუგებარი, მიუწვდომელი აზრი პარადოქსის საშუალებით ხდება ხოლმე ცხადი. პატივმოყვარეს ბევრი საზრუნავის გამო კი არ აქვს მოუცლელობა, არამედ, პირიქით, ევდემონიის უუნარობის გამო იჩენს გამოულეველ საქმეს. მისი პიროვნება ორად, ურთიერთსამტრო „მე“-დ არის გახლეჩილი. ეს აუტანელ მდგომარეობას ქმნის. იგი გამოსავალს ეძებს, ერთ-ერთ „მტერ“ მე-ს გარეთ ერეკება და ამ დამოკიდებულებას სხვებს, გარემოს აწერს (ამას ეწოდება პროექცია). ამიტომ, გარემო, სხვა ადამიანები მტრად აღიქმებიან. მტერს გამუდმებით უნდა ებრძოლოს, რათა არ დამარცხდეს (ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, გაუცნობიერებლად ხდება). ასეთმა კაცმა თუ საწადელი აისრულა და გარემო მთლიანად დაიმორჩილა (ასე ვთქვათ, იმპერატორი გახდა), კატასტროფა მოუვა; ვიღას მიაწეროს „მტერი“-მე! ამიტომ, საბოლოო გამარჯვება დაღუპვად აღიქმება (ამას ვერ ხვდება, მაგრამ გრძნობს). მას მტერი ჭირდება; გამუდმებით ეძებს და ნახულობს ხოლმე – გამუდმებულ საომარ მდგომარეობაშია. მოცლა, მოდუნება, ევდემონია წარმოუდგენელი, დაუშვებელი მდგომარეობაა. მისი არაცნობიერი „მე“ გააფთრებით იბრძვის, რათა პიროვნებამ ნანატრს არ მიაღწიოს. კარიერისთვის ბრძოლა შველაა – მტრებს პოულობს – მაგრამ არც საბოლოო გამარჯვება დაიშვება. იგი აზარტული მოთამაშესავით იქცევა; მოგების ჟინით შეპყრობილი სათამაშო მაგიდას უჯდება და სრულ წაგებამდე თამაშობს. თუ მარცხი შეემთხვა და მოიგო, მანამ ვერ მოისვენებს, სანამ უკანასკნელ კაპიკს არ წააგებს. ეს მისთვის ხსნაა. იგი ნელ-ნელა ისევ იკრებს ენერგიეს და წაგებულის ამოსაგებად ბრძოლაში ებმება.
ასეთ კაცს თუ ბედმა გაუღიმა და ადრე დაიღუპა (მაკედონელი), ხომ კარგი, თუ არა, საბოლოოდ გააფრენს (კამბისესი). ასეთები ტრაგიკული პიროვნებები არიან; თუ მიზანს ვერ მიაღწიეს, უბედურნი არიან მიზნის მიუღწევლობით, ხოლო, თუ წადილი აისრულეს, სრული კრახი აქვთ. ეს დასკვნა რამეს ეხმიანება?
მ - კი.
ი - რას?
მ - მდა! სულიერი აშლილობის რომელიღაც სახეს.
ი - ნევროზს. ნახვამდის!

ანორექსია-ნევროზა

ი - ჩვენს წინა საუბრებს გონების თვალი გადავავლე და ვიფიქრე, ახლა ანორექსია განვიხილოთ.
მ - ო! გუშინ ტელეგადაცემას ვუყურე ანორექსიაზე!
ი - ხო, მეც ვნახე!
მ - ამასწინათ გაზეთშიც წავიკითხე. ციფრებმა გამაოცა და ამიტომ დამამახსოვრდა.
ი - რა ციფრები იყო?
მ - ანორექსია უმეტესად ახალგაზრდა ქალებს ემართებათო. 19-დან 29 წლამდე ქალების 68% ამით არის დაავადებელიო. გადაჭარბებული ხომ არ არის?
ი - ვერ გეტყვი. ერთი ვიცი, რომ ბევრს ჭირს.
მ - მადა არ აქვთო, მაგრამ უმადობას რა იწვევს, გარკვევით ვერ თქვეს. ეს შიზოფრენიის ერთ-ერთი გამოვლენაა, უფრო შთამომავლობითიაო. ისიც თქვეს, გოგოები მოდელებს ბაძავან და ამიტომ არ ჭამენო. თუ შთამომავლობითია მოდის აყოლა რა შუაშია! ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მათი დასკვნები წინააღმდეგობრივია.
ი - კარგად შეგინიშნავს! ხან ამბობენ, მადა არ აქვთო, ხან კი – ჩვეულებრივად შიათ და თავს იკავებენო. სულ საჭმელზე ზრუნავენ, მაღაზიაში დადიან, ამზადებენ, თავად არ ჭამენ, შინაურებს ატენიან, გინდა თუ არა, ჭამეო.
მ - ესე იგი, სულ შიათ?
ი - სულ და ძალიანაც. ხანდახან თავს ვერ იკავებენ და მიასკდებიან. არიქა არ გავსუქდეო და აღებინებენ.
მ - გასუქების ეშინიათ, ხომ?
ი - ხო! ისე ხდებიან, ძვალი და ტყავი რჩებიან. უცნაურია, მაგრამ ნაღებინებს კი არ ღვრიან, ინახავენ.
მ - როგორ?!
ი - ჩვეულებრივად; ქვაბში აგროვებენ, რომ არ გაფუჭდეს, მაცივარში ათავსებენ.
მ - სანამდე?
ი - მანამ, სანამ რომელიმე შინაური არ გადააწყდება და არ გადაღვრის.
მ - ამაზე მწარდებიან?
ი - არა, თავად ვერ იმეტებენ, თორემ თუ სხვამ გადაღვარა, მაინცდამაინც არ ანაღვლებთ.
მ - მდა!
ი - ამ საქციელიდან გამომდინარე ფსიქოანალიტიკოსებმა დაასკვენეს, საჭმლის მიღება მათთვის დედის შეჭმასთან არის გაიგივებულიო.
მ - უცნაურია, მაგრამ ლოგიკური ჩანს.
ი - ლოგიკური ყოველთვის სწორი არ არის.
მ - რანაირად?
ი - რა მაგალითი გითხრა!? სანამ ადამიანებს დედამიწა ბრტყელი ეგონათ, ზევით ატყორცნილი საგანი რომ უკან ვარდებოდა, ეს ძალიან ლოგიკურად ჩანდა. მერე, რომ გაიგეს მიწა სფეროსებურიაო, ეს ლოგიკა დაირღვა – სწორის არ აღმოჩნდა. ასე არ არის?
მ - კი! რატომ ჰგონიათ, საჭმლის მიღება რომ დედის შეჭმაა; დებილები არიან?
ი - არა, პირიქით, სხვა საკითხებში კარგად იქცევიან, კარგად აზროვნებენ. ჩემი აზრით ფსიქოანალიტიკოსები ცდებიან.
მ - რაში?
ი - დედის შეჭმასთან არის დაკავშირებულიო.
მ - რატომ გგონიათ, რომ ცდებიან?
ი - იმიტომ რომ... ცოტა შემოვუაროთ. ხომ ამბობენ, ანორექსია... ყველა უმადობაში რომ არ აგვერიოს, ამ დაავადებას ანორექსია-ნევროზა ჰქვია. ხომ ამბობენ, ანორექსია შიზოფრენიის გამოვლენაა. შეიძლება, ზუსტად შიზოფრენია არ იყოს, მაგრამ ფსიქოზი ნამდვილად არის.
მ - ჩვენ ასე გვასწავლეს;..
ი - დიდი ბოდიში! აქამდე არ მიკითხავს; სწავლობთ?

მ - ფსიქოლოგიური დავამთავრე. ასე გვასწავლეს, ფსიქოზები ნევროზისგან იმით განსხვავდება, რომ მას ჰალუცინაციები ახასიათებსო.
ი - კი, სწორია!
მ - ანორექსია-ნევროზას დროს ჰალუცინაციები არის?
ი - არა.
მ - მაშ რატომ არის ფსიქოზი?
ი - სწორედ ამის თქმა მინდოდა! ჩემი აზრით ვერც ფსიქონალიზმა მიაკვლია სულიერი აშლილობის ნამდვილ მიზეზს. მართალია, ერთი პერიოდი, იმედი მიეცათ, ფილოსოფიური ქვა ნაპოვნია, სულიერ დაავადებათა მიზეზი გარკვეულიო. ფროიდი ახალ მესიადაც აღიარეს, მაგრამ...
მ - ეს მაგრამ ყველგან ჩნდება!
ი - ამ მეთოდით არათუ ფსიქოზები, ნევროზის უმარტივესი ფორმები – ისტერია და აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი – ვერ განკურნეს. ამან დაბნეულობა გამოიწვია. ფსიქოანალიტიკოსთა უმრავლესობამ ისევ ფსიქიატრიას დაუკრა თავი. ფსიქიატრების მსგავსად დაავადების სწორ მიზეზს თუ ვერ მიაკვლიეს, პასუხი მზად აქვთ. შთამომავლობითიაო. გამონახავენ ყვავი ჩხიკვის მამიდას!
მ - აჰა! რადგან სულიერ აშლილობათა მიზეზს ვერ მიაკვლიეს, მათი კლასიფიკაციაც არ არის ზუსტი.
ი - კი, ბატონო!
მ - მაშინ, არც ის იქნება ზუსტი, რომ საჭმლის მიღება დედის შეჭმასთან არის გაიგივებული.
ი - ვახ!
მ - ბატონო?
ი - მაგრად მიდიხარ!
მ - თუ რაიმე დაავადებაზე ვიტყვით თანდაყოლილიაო, მიზეზთა კვლევაც აღარ იქნება საჭირო – ხელები დამიბანიაო.
ი - მოგიკვდეს ჩემი თავი! უფრო მეტის თქმაც შეიძლება. არც ერთი სულიერი დაავადება, ან, ფსიქოგენური სომატური დაავადება შთამომავლობითი არ არის!
მ - არც ერთი?
ი - არც ერთი!
მ - რაზეც აქამდე ვისაუბრეთ, ის დაავადებები ფსიქოგენურია?
ი - აბა, რა! ტყუილად ხომ არ გელაპარაკები ამდენს!
მ - ესე იგი, შემენილია!
ი - კი, ბატონო!
მ - ამიტომ განკურნებაც შესაძლებელია?!
ი - კი, თუ მის წარმოშობის მიზეზს მივაკვლიეთ და მკურნალობის სწორ გზას დავადექით.
მ - რა წარმოშობს?
ი - ჯერ ანორექსიაზე საუბარი არ დაგვიმთავრებია.
მ - ხო, გადამავიწყდა!
ი - ანორექსიანისთვის საჭმლის მიღება დაუშვებელია. შიათ, მაგრამ საჭმელი მიუღებელია, სიკვდილზე უარესია.
მ - სიკვდილზე?
ი - თუკი, ხშირად, ამის გამო გამოფიტვით კვდებიან, ესე იგი, უარესია. რატომ ვჭამთ ხოლმე?
მ - გვშია და იმიტომ.
ი - თუ ძალიან გვშია და მაინც არ ვჭამთ!? ესაო, ისაო, ფიგურა არ გამიფუჭდეს, არ გავსუქდეო. ეს, ხომ, ლოგიზაციაა!
მ - ანუ?
ი - როცა ვცდილობთ არალოგიკურს ლოგიკური სახე მივცეთ.
მ - ესე იგი, თვითონ არ იციან, სინამდვილეში რატომ არ ჭამენ?
ი - არ იციან. ეს მათთვის არაცნობიერია.

მ - რატომ?
ი - ბა! ეს მაშინ განვიხილოთ, როცა არაცნობიერის რაობას მივადგებით. ახლა თუ გვერდზე გავუხვიეთ, ტყეში დავიკარგებით. მიუხედავად იმისა, რომ ანორექსიას ექიმები შთამომავლობითად თვლიან, მაინც მკურნალობენ.
მ - აბა, რა ჰქნან; იქნებ შეამსუბუქონ მაინც!
ი - კი, მკურნალობა ხანგრძლივია; ათი-თორმეტი წელი გრძელდება.
მ - მერე მაინც იკურნება?
ი - არა; ათი-თორმეტი წლის შემდეგ ანორექსია თავისით გადის – თუ მანამდე გამოფიტვისგან არ დაიღუპა კაცი. რადგან ქრება, ექიმებს ჰგონიათ, ჩვენ განვკურნეთო. მ - ესე იგი, თავისით, მაგრამ მაინც იკურნება?
ი - ანორექსია – კი, მაგრამ სულიერი აშლილობა – არა. მერე სხვა სიმპტომები წამოიწევს ხოლმე წინ. ის სხვა სიმპტომები სხვა დაავადების ჰგონიათ. მივუბრუნდეთ! შიმშილით კვდები, მაგრამ მაინც არ ჭამ, ესე იგი, საჭმელი სიკვდილზე უარესის მომტანია.
მ - სიკვდილზე უარესი რა უნდა იყოს?!
ი - გაურკვეველი უბედურება. ბუდას შეგონების ტრიადიდან ერთი გავიხსენოთ: „ტანჯვას სურვილები ჰქმნის, თუ სურვილებს დავძლევთ, ტანჯვაც გაქრება“. სწორი დებულებაა! თუ სურვილი ტანჯვას იწვევს, იგი უნდა დავძლიოთ. როგორ უნდა მოვახერხოთ ეს?
მ - როგორც ეს ბუდამ ჰქნა. შიმშილით, ორგანიზმის გამოფიტვით. გამოფიტულ ორგანიზმს სურვილები უქვეითდება.
ი - ხო. ეს შეიძლება, ასე გავიგოთ; თუ კარგად ვიკვებებით, ბევრი სურვილი გვიჩნდება, ყველას ვერ დავიკმაყოფილებთ და ამიტომ ვიტანჯებით. მეფენიც კი „შფოთვენ და დრტვინვენ, და იტყვიან, როდის იქნება ის სამეფოცა ჩემი იყოს“. მიღწეულით ვერ დაკმაყოფილდა ვერც ალექსანდრე მაკედონელი, ვერც – ნაპოლეონი, ვერც – ჰიტლერი, ვერც – სტალინი, ვერავინ!
მ - რაღაც არ მგონია, ყველა ანორექტიკი ბუდას მოძღვრების მიმდევარი იყოს.
ი - არა, რა თქმა უნდა! ისინი იტანჯებიან და თუ არ ჭამენ, მდგომარეობა უმსუბუქდებათ. უჭმელობით ტანჯვას იმსუბუქებენ. ასევე იმსუბუქებს ტანჯვას ნარკომანი ნარკოტიკით, ალკოჰოლიკი – სპირტიანი სასმელით, ტანჯვის შემამსუბუქებელია აზარტული თამაშები, კომპიუტერთან მიჯაჭვა, ფათერაკები, სისასტიკის გამოჩენა, სერიალების გამუდმებული ყურება და კიდევ სხვა მრავალი. ყველაფრის ჩამოთვლა არ ღირს.
მ - ტანჯვას რა იწვევს?
ი - მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა.
მ - ზოგადი ნათქვამია.
ი - ხო, ჯერ ეს ვიკმაროთ.
მ - დღეს ვამთავრებთ?
ი - დავამთავროთ! სხვა საქმეც მაქვს ხოლმე.

ცისფერობა (ჰომოსექსუალიზმი, ბისექსუალიზმი)

ი - ცისფერების საკითხი არ განვიხილოთ!?
მ - აუ; ეს ისეთი თემაა!
ი - როგორი?
მ - დახვეწილად რომ ვთქვა; ფაქიზი.
ი - დაუხვეწავად როგორი იქნება?
მ - რა ვიცი! ასეთ რამეს რომ გავიგონებ, ვცდილობ, ყური მოვიყრუო.
ი - რატომ?
მ - რა ჭირს, კაცო, ამ ხალხს, რა უბედურებაა! არადა, აიანცეს ქვეყანა. კარგი, ბატონო, ასეთი – სიმახინჯე; დამალე მაინც. არა, პარადებს აწყობენ. თბილისშიც მოინდომეს!
ი - აგრესია გაქვთ მათ მიმართ?
მ - კისერი უტეხიათ; რაც უნდათ, ის ჰქნან! მაგრამ... ისინი არიან აგრესიულები. კი, ბატონო; ხელს ხომ არ მივაფარებ! მე ნუ მთხრიან ცხვირში – მე ასეთი ვარ და გინდა-არგინდა, შენც ჩემნაირი უნდა იყოო. ამას წინათ ერთი ფოტოგრაფი გამოვიდა ტელევიზიით. რა გვარია?.. მეჩითოვი. ფარაჯანოვზე ლაპარაკობდა. ფარაჯანოვი რომ იმნაირი იყო, ყველამ იცის; ამით ტრაბახობდა. მეჩითოვმა თქვა, ასეთი რამ ყველას უნდა, მაგრამ ვერ ბედავენო.
ი - ოო, მის ნათქვამს გარკვეული საფუძველი აქვს!
მ - არ გადამრიო! შენც ისეთი ხარ?
ი - არა, კაცო! საფუძველი აქვს, მაგრამ სწორი კი არ არის!
მ - ვერ გავიგე!
ი - გაგიმარტავ!
მ - მაგათ თუ დავუჯერებთ, ალექსანდრე მაკედონელიც იმნაირი ყოფილა.
ი - ფილმზე ამბობთ?
მ - დიახ. პედერასტად გამოიყვანეს. მაკედონელს თან დაჰყავდა ისტორიკოსების და ფილოსოფოსების მთელი ჯგუფი. მის ყოველ ნაბიჯს იწერდნენ. ამიტომ მის შესახებ ყველაფერი ვიცით. მისი ნათქვამია, ძილის და ქალის სურვილს რომ არ ვატყობდე, თავი ღმერთი მეგონებოდაო.
ი - მეტსაც გეტყვი. აზიაში, რომ ლაშქრობდა, ერთ-ერთმა პროვინციის გამგებელმა ორი ლამაზი ბიჭი გამოუგზავნა. ალექსანდრე განრისხდა, რა შემატყო ასეთიო. გამომგზავნი ანძუხზე ჩამოაკიდებინა.
მ - ასეთ კაცს ამას როგორ სწამებენ!
ი - სექსუალური უკუღმართობები ახალი მოგონილი არ არის. ყოველთვის იყო. პლატონის „ნადიმი“ წაკითხული გაქვს?
მ - არა.
ი - დაგიშავებია. პლატონი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხოვრობდა; მეოთხე საუკუნეში. პატარა წიგნი დაწერა „ნადიმი“. ამ წიგნის პერსონაჟები ისტორიულად ცნობილი პიროვნებები არიან – სულ ვაჟები. ვაჟი, თუ იცი, რას ნიშნავს?
მ - ახალგაზრდა კაცს.
ი - არა, ვაჟი მამაკაცია; სულერთია რა ასაკის იქნება. მისი შესატყვისია ქალი
მ - აბა, კაცი რა არის?
ი - კაცი ქალიც არის და ვაჟიც. ამ ტერმინებს არასწორად ხმარობენ ხოლმე. მოკლედ, ვაჟები შეიკრიბნენ და მოილხინეს. დათქვეს, ყველას თითო ტოსტი უნდა ეთქვა სიყვარულზე. „ნადიმი“ ამ ტოსტების კრებულია. არც ერთ ტოსტში, ანუ მთელ წიგნში ქალის ხსენება არ არის.
მ - აბა?!
ი - ცისფერების ლხინია. პერსონაჟები იქ არდამსწრეს – სოკრატეს – დასცინიან, არასდიდებით ვაჟებს არ ეკარებაო.
მ - ხო აზრზე ხარ!
ი - ეს პლატონის მიერ შეთხზული ქმნილებაა და არა ნამდვილად მომხდარი ამბავი. ნამდვილად ვიცით, რომ ცნობილი სარდალი ალკიპიადე იმნაირი არ იყო. არადა, „ნადიმში“ ყველაზე მეტად

ის იწონებს თავს პედერასტობით; სოკრატე ვერაფრით ვერ ვაცდუნეო. ეს წიგნი, ვითომ, ათენელების საერთო განწყობას გამოხატავს.
მ - ვითომ სოკრატე რატომ არა?
ი - არ ვიცი; განმარტებული არ არის. მართლაც ასეთი ურთიერთობები რომ ყოფილიყო იმდროინდელ ათენში, ან, პლუტარქეს მიხედვით სპარტაში, ალბათ ძველ ბერძნებს შთამომავლობა აღარ დარჩებოდათ.
მ - ერთი ანეგდოტი გამახსენდა?
ი - რომელი?
მ - მამაკაცების დაორსულება თუ შეიძლებაო. ასეთი შემთხვევა ისტორიულად არ დასტურდება, თუმცა, ექსპერიმენტები გრძელდებაო.
ი - ხო. ბიბლიური სოდომის და გომორას დაქცევის ამბავი ხომ იცი?
მ - კი. მთელ ქალაქში ერთი მამაკაციც... ვაჟიც არ გამოჩნდა, ვისაც მამათმავლობის საწინააღმდეგო სიტყვა ეთქვას.
ი - ერთი კი იყო, ისიც იმიტომ, რომ მასპინძელი თავის სტუმრებს იცავდა. სიყვარულიდან ქალის გამორიცხვა პლატონის ფანტაზიის ნაყოფი იყო. პლუტარქესაც სჩვეოდა გადაჭარბებები. ერთხელ რომში ტრიბუნი კლოდიოსი ფორუმზე სიტყვით გამოვიდა, პომპეუსს ხალხის ბედი როგორ ვანდოთ, თავს ქალივით ცალი თითით იფხანსო. არათუ ცისფერობა იყო სამარცხვინო, არამედ, ქალის ქცევის ოდნავ მიმსგავსებული ქმედებაც კი.
მ - ესე იგი, ასეთი საქციელი სამარცხვინოდ ითვლებოდა!
ი - კი, ბატონო!
მ - ახლა ცხვენიათ კი არა, პარადებს აწყობენ.
ი - ამას საფუძველი ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებამ დაუდო. აგერ მისი წიგნი მიდევს: „სექსუალური ფსიქოლოგიის ნარკვევები“. ქვეთავი - „პოლიმორფულ-პერვერსიული მიდრეკილება“. ციტატებს წაგიკითხავ, თუ არა, ჩემი შეთხზული გეგონება.
მ - როგორ გეკადრებათ!
ი - ან არასწორად გაგებული, „საგულისხმოა, რომ ცდუნების შედეგად ბავშვი, შეიძლება, პოლიმორფულ-პერვერსიული გახდეს. მისი ყველანაირად გარყვნა შეიძლება.“
მ - პერვერსიული რა არის?
ი - ლექსიკონში ნახე; უფრო დაგამახსოვრდება. „ეს იმის მაჩვენებელია, რომ კონსტიტუციურად ამისადმი მიდრეკილება აქვს. ცდუნება წინააღმდეგობას არ აწყდება, რადგან სექსუალური უკუღმართობების საწინააღმდეგო კაშხალი – სირცხვილი, ზიზღი, ზნეობა – ასაკის გამო ჯერ აღმართული არ არის, ან, ჯერ მხოლოდ ისახება. ასეთ დროს ბავშვი საშუალო უკულტურო ქალივით იქცევა; მასაც შენარჩუნებული აქვს პოლიმორფულ-პერვერსიული მზაობა. ასეთი ქალი, ჩვეულებრივ, შესაძლოა სექსუალურად ნორმალური დარჩეს, თუმცა, მარჯვე შემცდენის ზეგავლენით პერვერსიებს გემო გაუგოს და ასეთ სექსუალურ ცხოვრებას დაადგეს. ასეთივე, პოლიმორფული, ანუ, ინფანტილური დამოკიდებულებებით ეწევა პროფესიულ საქმიანობას მეძავიც. მეძავების კოლოსალურმა რაოდენობამ, აგრეთვე, იმ ქალებისაც, ასეთი ცხოვრებისადმი მიდრეკილება რომ აქვთ, თუმცა, ამ პროფესიას ასცდნენ, ბოლოსდაბოლოს, არ შეიძლება, არ გვაღიარებინოს, რომ ყოველგვარი პერვერსიისადმი თანაბარი მიდრეკილება ზოგადადამიანური და პირველადია“.
მ - რაღაც ეჭვი მეპარება!
ი - არამხოლოდ – შენ. ფროიდი, რა თქმა უნდა, დიდი ავტორიტეტია, მაგრამ არც იმხელა, რომ გოგოს და ბიჭს შორის კონსტიტუციური განსხვავება ვერ შევამჩნიოთ.
მ - ეს რას ნიშნავს?
ი - ბიჭს ჭუჭუები დაბადებიდანვე ჰკიდია, გოგოს – არა. სქესის განმსაზღვრელი ეს არის და არა სირცხვილი, ზიზღი და ზნეობა. გავაგრძელებ! „ფსიქოანალიტიკური გამოკვლევები გადაჭრით ეწინააღმდეგება ცდას, ჰომოსექსუალისტები სხვა ადამიანებისგან განსხვავებულ ჯგუფად გამოჰყოს. არამარტო ღიად გამოვლენილი, არამედ სხვა სექსუალური აღგზნების შესწავლამ

დაგვანახა, რომ ყველა ადამიანი მიდრეკილია თავისივე სქესის წარმომადგენელი აირჩიოს ობიექტად და ეს პროცესი არაცნობიერად განახორციელოს.“
მ - მეჩითოვი გამახსენდა!
ი - კი, ბატონო! „მეტიც, ლიბიდური გრძნობების დამოკიდებულებაში საკუთარი სქესის პირებისადმი ლტოლვა არანაკლებ როლს თამაშობს ნორმალურ სულიერ ცხოვრებაში, ხოლო დაავადების აღძვრაში გადამწყვეტი მნიშვნელობის არის. ფსიქოანალიზი თვლის, რომ პირველადია მამრობითი ან მდედრობითი სქესის ობიექტების არჩევის განურჩევლობა ისე, როგორც ეს ბავშვობაში, პრიმიტიულ მდგომარეობაში ხდება, ან უძველესი ხანის ადამიანებში ხდებოდა“...
მ - რა იცოდა ფროიდმა, რა ხდებოდა უძველეს ადამიანებში!?
ი - ეს მისი ვარაუდია. „აი, ამ პირველადი მდგომარეობიდან ერთი ან მეორე მხარის შეზღუდვა ნორმალურ ან ინვესტირებულ ტიპს ავითარებს. ფსიქოანალიზის მიხედვით ვაჟის განსაკუთრებული სექსუალური ინტერესები ქალისადმი პრობლემას წამროადგენს. იგი ასახსნელია და არა რაღაც თავისთავად ცხადი, რასაც ქიმიური მიზიდულობა უდევს საფუძვლად“.
მ - ფროიდი იმნაირი იყო?
ი - არა, საქმეც ეგ არის!
მ - აბა, რა ჭირდა?!
ი - ჯერ გავიდე ბოლოში! ალბათ ყველაფრის დაჯერება შეიძლება, თუმცა, სექსუალური პროცესი არაცნობიერად როგორ უნდა განასახიეროს კაცმა, ამის წარმოდგენა ადვილი არ უნდა იყოს.
მ - გაუცნობიერებელი მიდრეკილება აქვსო.
ი - მიდრეკილება სხვაა და პროცესი – სხვა. ვაგრძელებ! „პერვერსიების შესწავლისას იმ აზრამდე მივედით, რომ სქესობრიბ ლტოლვას ბრძოლვა უწევს ისეთ სულიერ ძალებთან, როგორიც არის წინააღმდეგობები. მათგან ყველაზე მეტად სირცხვილი და ზიზღი გამოიყოფა. დასაშვებია მოსაზრება, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ, რათა ლტოლვები, ასე ვთქვათ, ნორმალურ ჩარჩოებში მოათავსონ. თუ ეს ლტოლვები ინდივიდში სქესობრივ საბოლოო განვითარებამდე ჩამოყალიბდა, ალბათ, მის განვითარებას გარკვეულ მიმართულებას მისცემს“. ეს სხვა თავში უწერია: „ორი დასკვნა“.
მ - გაუფრენია საწყალს!
ი - რა თქმა უნდა, ბევრი წინააღმდეგობაა, მაგრამ წვრილმანებში ნუ ჩავეძიებით; შორს წაგვიყვანს. სხვა თავში „ნევროზი და პერვერსია“ ასეთი რამ უწერია: „სისასტიკის და ლიბიდოს ამ კავშირისგან სიყვარული სიძულვილად გარდაიქმნება, ნაზი სულიერი ძვრათაგან – მტრობა. ეს ნიშანდობლივია ნევროტული შემთხვევათაგან უმეტესობისთვის და, აგრეთვე, როგორც ჩანს, მთელი პარანოიისთვის“. ხედავ რა ხდება?
მ - რა?
ი - თურმე აგრესიულობას ჰომოსექსუალური ლტოლვის დაუკმაყოფილება იწვევს.
მ - არა-ა!
ი - ფროიდი და შემდეგდროინდელი საზოგადოებრივი აზრი ბიძგს აძლევს, ახალისებს ქალის ქალთან და ვაჟის ვაჟთან სქესობრივ ურთიერთობას. მათი აზრით, ამ „ლტოლვის“ განხორციელება ძირშივე სპობს აგრესიულობას. თუ განუხორციელებლობა აგრესიას იწვევს, დაშვება ქვეყანაზე სამუდამო მშვიდობას, ერთობას და სიყვარულს დაამკვიდრებს.
მ - ახ!
ი - რა იყო, არ გჯერა?
მ - ხა, ხა, ხა!
ი - აი, რა მიწერა ზიგმუნდ ფროიდმა შტეფან ცვაიგს: „მოტივი ცხადია, ვაჟს სხვა ვაჟი სიყვარულს სთავაზობს, მაგრამ ბევრისთვის, ყველასთვის, ვინც თავს ნორმალურად თვლის, ასეთი მდგომარეობა პრობლემებს უქმნის. რატომ არ შეუძლია ვაჟს, სხვა ვაჟის ფიზიკური სიყვარული მიიღოს, თუკი მის მიმართ უძლიერესი ფსიქიკური დამოკიდებულება აქვს? ეს ხომ არ ეწინააღმდეგება ეროსის ბუნებას. ვაჟთა შორის ბუნებრივი ქიშპობის გადალახვით

განსაკუთრებული ტრიუმფიც კი ექნებოდა. ისტორიული განვითარების პოზიციიდან ვაჟთა შორის სიყვარულის მიმდინარეობა უფრო ადვილიც იქნებოდა, მეტ სიამოვნებასაც მიანიჭებდა, რადგან გადასალახი არ იქნებოდა ქალს და ვაჟს შორის არსებული უცხოობის დანაშრევი, თავისუფალი იქნებოდა მათ შორის ურთიერთოის მომწამლავი „სადისტური დანაშრევი“.
მ - თქვენ შაყირობთ თუ – ის?
ი - არცერთი! ფროიდის ამ ლოგიკამ იმ შედეგამდე მიგვიყვანა, რომ ასეთ სამარცხვინო ურთიერთობებს სამარცხვინეობა ჩამოცილდა. უფრო მეტიც, ამის არქნა იქცა სამარცხვინოდ. თურმე ქალის და ვაჟის სასიყვარულო ურთიერთობა არაბუნებრივი ყოფილა. ამის არ ჩამდენი ჩამორჩენილი, გოიმი, საკუთარ მისწრაფებებში გაურკვეველი ყოფილა. ეს კი სამარცხვინოა. ზოგი, ვინც ასეთ რამეს მაინც არ შვება, ეს აგრესიულობას ბადებს და კაცობრიობის წინსვლას აფერხებს. ამიტომ, საყოველთაო ბედიერების მისაღწევად ყველა უნდა ვაიძულოთ, რომ გაპედერასტდეს.
მ - კარგი, ბატონო, ვთქვათ, ერთი კაცი გაგიჟდა და ასეთი რამ იტუტუცა, რატომ აიტაცეს მისი ნააზრევი?
ი - კარგი კითხვაა! ფროიდს ეს აზრი ციდან არ ჩამოუტანია. არც მხოლოდ საკუთარ ლტოლვას მიუყვანია აქამდე. მან პირველმა მიაგნო, რომ ადამიანის ფსიქიკას არაცნობიერი კუნჭული აქვს და იგი ჩვენ ცნობიერებას წარმართავს, აქეთ ან – იქეთ. იგი ისტერიით შეპყრობილებს მკურნალობდა და ლოგიკამ ასე წაიყვანა.
მ - რა ლოგიკამ?
ი - ეს რომ გაიგო, ფროიდის მკურნალობის მეთოდი უნდა იცოდე. იგი პაციენტს ტახტზე აწვენდა, თავად თავთან უჯდებოდა და თხოვდა, დაუბრკოლებლად ელაპარაკა ყველაფერზე. მისი ლაპარაკიდან, ასე ვთქვათ, მონტაჟს აკეთებდა.
მ - ეს მაინც ვიცი; ერთიდაიგივე მასალისგან ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის გამოტანა შეიძლება მონტაჟით.
ი - ხო, ჩემი აზრით, სწორედ ამაში შეცდა. ცნობილ ფსიქოლოგს, ფსიქიატრს და ფსიქოანალიტიკოსს ლეოპოლდ ბელაკს ერთი კარგი ფრაზე აქვს: - მოქმედებისკენ ლტოლვა პათოლოგიური ხდება მაშინ, როცა იგი დაბრკოლებას აწყდება და მოქმედების განხორციელება შეუძლებელი ხდებაო. ამ აზრს საქმეში ჩახედული ყველა მკვლევარი ეთანხმება, მაგრამ სიტყვაში „ლტოლვა“ და „დაბრკოლება“ სხვადასხვა აზრს დებენ. ფროიდი „ლტოლვაში“ ბისექსუალობას გულისხმობდა და „დაბრკოლებაში“ – სირცხვილს, ზიზღს და ზნეობას.
მ - სხვა მოსაზრებებიც არის?
ი - კი, როგორ არა! ზოგი თვლის, რომ ლტოლვა ადამიანში ჩადებული მხეცური მისწრაფებებია, დაბრკოლება კი – ზნეობა. ზოგი – სხვას და ზოგი – სხვას. იმის მიხედვით, ვის რა ეგონა ლტოლვა და დაბრკოლება, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მიმდინარეობებიც კი შეიქმნა, სულიერი აშლილობის მკურნალობის მეთოდოლოგიებიც გაჩნდა: ბიჰევიორისტული ფსიქოთერაპია, ჯგუფური ფსიქოთერაპია, ჰუმანისტური, კოგნიტური, ფსიქოანალიტიკური, სუგესტოთერაპია, ეგზისტენციალური, აუტოტრენინგი, არტთერაპია, შრომათერაპია.
მ - რომელიმეს ჭკუა თუ ეტყობა?
ი - უჭკუობა არც ერთი არ არის, მაგრამ...
მ - მაგრამ?
ი - სულიერი აშლილობის ნამდვილ მიზეზს ვერავინ მიაკვლია. ყველაზე უფრო ახლოს ფროიდი მივიდა, ახალ მესიადაც კი აღიარეს, თუმცა...
მ - კი, მისი თეორია ნამდვილად არ არის სწორი!
ი - ამის თქმა ადვილია, ბევრსაც უთქვამს, მაგრამ...
მ - თუ ნამდვილ მიზეზს არ მიაკვლია კაცმა, ისე მკურნალობაც უნაყოფო იქნება. ასე არ არის?
ი - ასეა!
მ - მგონი, მივხვდი, საითაც ექაჩებით თოკს.
ი - გამოცანა გერგება!
მ - არა, მართლა!

ი - კი, მართლა!
მ - თქვენ იცით?
ი - კი, ბატონო!
მ - მეტყვით?
ი - ახლა მე გამეცინა?
მ - რატომ?
ი - მაგ ერთი სიტყვის პასუხს დიდ დრო დასჭირდება.
მ - მაინც, რამდენი?
ი - ხუთწლიანი სწავლების კურსი.
მ - აუჰ!
ი - თუმცა...
მ - თუმცა?
ი - თუ დაინტერესდები...
მ - კი, ძალიან მაინტერესებს!
ი - ინგლისური იცი?
მ - ვიცი!
ი - კარგად?
მ - კარგად!
ი - მაშინ, შედი ინტერნეტში, მონახე www.mencari.com წაიკითხე, შეისწავლე და თუ კითხვები გაგიჩნდა, დამიკავშირდი. შევთანხმდით?
მ - შევთანხმდით! ერთი წუთით!
ი - ბატონო!
მ - რა თემებზეც ვისაუბრეთ, არც ერთის სპეციალისტი არ ვარ...
ი - მერე?
მ - კარგი ხომ არ იქნებოდა, სპეციალისტებსაც გამოეთქვათ აზრი ამის შესახებ!?
ი - გასაგებია! ცოტა არ იყოს, გულს გაკლია, არა?
მ - იმდენად უცანური მოსაზრებანია!..
ი - იცი, რა ჰქენით!
მ - რა?
ი - ეს მიმოწერა ფეის-ბუკზე დადევი. იქნებ ვინმე გამოგვეხმაუროს. თუმცა...
მ - თუმცა?
ი - დიდად არ მჯერა, რომ სპეციალისტებმა მკლავები დაიკაპიწონ.
მ - რატომ?
ი - დადევი და ვნახოთ!
მ - ვნახოთ! ესე იგი, ამის უფლებას მაძლევთ?
ი - კი, ბატონო! მით უმეტეს, რომ ჩემი ვინაობა არ იცით.